# ახალი განათლება

www.akhaliganatleba.ge
facebook.com/ Akhali Ganatleba

№33 (907) გამოდის 1998 წლიდან

05-11.11.2020





➢ კორონავირუსის პრევენციის მიზნით, უწყებათაშორისი საბჭოს გადაწყვეტილებით, საქართველოს შემდეგ ქალაქებში: თბილისში, რუსთავში, ქუთაისში, ზუგდიდში, თელავში, ზესტაფონში, გორში, გარდაბანში, ფოთსა და მარნეულში, 4 ნოემბრიდან 25 ნოემბრამდე, სასწავლო პროცესი ყველა კლასის მოსწავლეებისთვის დისტანციურ რეჟიმში გაგრძელდება. სასწავლო პროცესი ასევე დისტანციურად მიმდინარეობს აჭარის რეგიონში.

➢ გადაწყვეტილება გახანგრძლივებული საარჩევნო პროცესისა და დიდ ქალაქებში მობილობის შემცირების მიზნით იქნა მიღებული. კერძოდ, 21 ნოემბრის ჩატარდება არჩევნების მეორე ტური, საარჩევნო უბნებად კი ასეულობით სკოლა კვლავ იქნება გამოყენებული.

➢ უმაღლესი სასწავლო დაწესებულებები და პროფესიული სასწავლებლები სასწავლო პროცესს ისევე განაგრძობენ, როგორც აქამდე. კერძოდ, უნივერსიტეტები პრაქტიკულ და ლაბორატორიულ მეცადინეობებს წარმართავენ არადისტანციურ რეჟიმში ჯანდაცვის სამინისტროს რეკომენდაციების ზედმიწევნით დაცვით.

➢ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები სასწავლო პროცესს აგრძელებენ დისტანციურ რეჟიმში.

➢ ქვეყანაში არსებული ეპიდემიოლოგიური მდგომარეობიდან გამომდინარე და სპეციალისტების რეკომენდაციის საფუძველზე, თბილისის საჯარო ბაღებიც დროებით აჩერებენ მუშაობას.

➢ თეატრებისა და კინოთეატრების გახსნის ვადა, რომელიც 1 ნოემბრით განისაზღვრებოდა, გარკვეული პერიოდით გადაიდო.


**2** ლალი თვალაბეიშვილი
## ვინ იქნება შემდეგი?
რა პრობლემები შექმნა დირექტორების დააუზებულმა შესარჩევმა კონკურსმა

**4** ანა ფირცხალაიშვილი
## რჩევები კოლეგებისგან გარე დაკვირვების მომლოდინე პედაგოგებს

**7** ირმა გრიგალაშვილი
## განათლების სისტემის აქტუალური პრობლემები

**8** ლალი ჯელაძე
## სამყარო ყოველთვის კარგია, რაკილა ყოველთვის შეიძლება უარესი იყოს
ინტერვიუ ბექა ადამაშვილთან

**11** ირაკლი თავაძე
## მაღალი სტატუსით აღდგენილი სასწავლებლის ტრაგიკული ბედი

მწვავე თემა

# ვინ იქნება შემდეგი?

## რა პრობლემები შექმნა დირექტორების დაპაუზებულმა შესარჩევმა კონკურსმა

ლალი თვალაბეიშვილი

სექტემბერ-ოქტომბერში, საჯარო სკოლების დირექტორების ნაწილს უფლებამოსილების ვადა ამოეწურა, განათლების სამინისტრომ, შესარჩევი კონკურსის ჩატარებამდე, ნაწილი მოვალეობის შემსრულებლად დანიშნა, ნაწილი – არა. დირექტორები, რომლებსაც უფლებამოსილება არ გაუგრძელეს, დღემდე, უშედეგოდ ელიან იმის დასაბუთებას, კონკრეტულ მიზეზებს, თუ რატომ არ დაეთანხმა სამინისტრო მათი დროებით მოვალეობის შემსრულებლად დანიშვნის მოთხოვნას.

გაურკვეველია ისიც, როდის ჩატარდება ახალი შესარჩევი კონკურსი. სამინისტროს ინფორმაციით, პროცესი თებერვლიდან დაიწყო, მაგრამ პანდემიის გამო კონკურსი არ ჩატარებულა. რეგისტრაციის გამოცხადების შემდეგ, 2000-ზე მეტი აპლიკანტი დარეგისტრირდა, თუმცა პროცესი გადაიდო, სამინისტროში კი განმარტეს, რომ საჯარო სკოლის დირექტორობის მსურველთა ტესტირება ქვეყანაში კორონავირუსთან დაკავშირებული მოვლენების დასრულებისთანავე ჩატარდება. როდის დასრულდება პანდემია არავინ იცის, შესაბამისად, არავინ იცის როდის დაინიშნება ახალი კონკურსი. თუმცა, სამინისტროში ამბობენ, რომ „საჯარო სკოლის ყველა დირექტორისთვის კარგად არის ცნობილი, რომ ყველა მათგანს შესაძლებლობა აქვს, მონაწილეობა მიიღოს სამინისტროს მიერ გამოცხადებულ საჯარო სკოლების დირექტორთა შესარჩევ კონკურსში. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო კატეგორიულად გამორიცხავს ამ პროცესში პოლიტიკურ მოტივს.“



ჩვენ ვესაუბრეთ **ელზა ბადაშვილს**, „საქართველოს სკოლის ლიდერთა ასოციაციის“ ხელმძღვანელს, გვაინტერესებდა რამდენად კანონიერია პროცესი, რომელიც ახლა მიმდინარეობს და რას უკავშირდება, მისი აზრით, ეს ყველაფერი.

„ეს დირექტორები სამეურვეო საბჭოს მიერ არიან არჩეული, ექვსი წელი გავიდა და უფლებამოსილება შეუჩერდათ. თუ იურიდიულად ვიფიქრებთ, ხელშეკრულებებს ვადა გაუვიდა და ეს ადამიანები სამინისტრომ მოხსნა რეესტრიდან, რაც ჩვეულებრივი იურიდიული პროცედურაა. ამაზე არც არავინ ედავება სამინისტროს. აქ მეორე მომენტია, სამართლიანობის – რამდენად სამართლიანად განხორციელდა, უკვე ამის შემდგომ, დირექტორების გადანიშვნა მოვალეობის შემსრულებლებად, რაც მინისტრის პრეროგატივაა. არავინ იცის, შერჩევის რა პრინციპით იხელმძღვანელეს, უბრალოდ, ვინც უნდოდათ, ის დირექტორები გადანიშნეს მოვალეობის შემსრულებლებად. მართლა უძლიერესი დირექტორები გაანთავისუფლეს, მაგალითად თბილისის მე-10 სკოლის, 209-ე სკოლის, ხობის რაიონის პირველი მაისის სკოლის და სხვ. ეს ის დირექტორები არიან, რომლებიც კი არ მოხსნეს, არამედ არ გადანიშნეს მოვალეობის შემსრულებლებად. როდესაც რაიონში 20 სკოლაა და 15 დირექტორს გადანიშნავ, 5-ს კი – არა, „ჰაერში დატოვებ“, ეს უსამართლობის განცდას აჩენს – რატომ, რა კრიტერიუმებით? ამ ადამიანებს ის ხომ მაინც უნდა ვუთხრათ რატომ არ გადავნიშნეთ.

იმ სკოლებში, ხშირ შემთხვევაში, სადაც სამინისტრომ დირექტორები აღარ გადანიშნა, თავისი კანდიდატი კი არ გაუშვა, უფლებამოსილება ავტომატურად გადავიდა მოადგილეებზე. ბუნებრივია, ძალიან ბევრ მოადგილეს არ შეუძლია დირექტორობა და, პრინციპში, სკოლები ხელმძღვანელების გარეშე დატოვეს.“

რა ხდება იმ შემთხვევაში, თუ მოადგილეს არ აქვს დირექტორობის სურვილი? ქალბატონი ელზა ამბობს, რომ არც ეკითხებიან, ის ავტომატურად ინიშნება. როდესაც დირექტორს ირჩევენ, მან, 10 დღეში, უნდა დანიშნოს მოადგილე, რომლის უფლებამოსილება იმავე დროით განისაზღვრება, რა დროითაც დირექტორის. დირექტორის განთავისუფლება პირდაპირ ნიშნავს მოადგილეების განთავისუფლებასაც. ასევე ავტომატურად გადაინიშნენ ისინი დირექტორის მოვალეობის შემსრულებლებად. სავსებით შესაძლებელია, რომ ბევრს არ სურს ან უბრალოდ არც შეუძლია სკოლის მართვა და როგორც ქალბატონმა ელზამ გვითხრა, ბევრი ბიულეტენზეც კი გავიდა, რომ ეს ვითარება თავიდან აეშორებინა. მოკლედ, სკოლებში უმართავი პროცესები მიდის.

რა უნდა გაკეთებულიყო იმისათვის, რომ ეს არ მომხდარიყო? „როგორც პარლამენტის შემთხვევაში, ვადა რომ გაუვა, ახალი არჩევნები ინიშნება, ზუსტად ასე უნდა ყოფილიყო ჩვენ შემთხვევაშიც – სანამ ვადა გაგვივიდოდა, უნდა დანიშნულიყო დირექტორების არჩევნები. ეს პროცესები მარტში უკვე დაწყებული იყო. მართალია, პანდემია დაემთხვა, მაგრამ 10 000-იანი გამოცდები ჩაატარეს მასწავლებლებისთვის და დირექტორების გამოცდაზე 2000-ს ვერ ჩააბარებინეს?! ბუნებრივია, ჩნდება ეჭვი, რომ პოლიტიკური გადაწყვეტილება იყო – არ დანიშნულიყო დირექტორების გამოცდები და არ ჩატარებულიყო კონკურსი. ეს სამინისტროს ვალდებულებაა და თუ არჩევნები ვერ მოასწრო, სამინისტროა პასუხისმგებელი. ახლაც ხომ პანდემიაა, მაგრამ მაინც ტარდება საპარლამენტო არჩევნები.“ – ამბობს ელზა ბადაშვილი.

ჩვენს შეკითხვაზე, თუ შეეძლო განათლების სამინისტროს, პანდემიიდან გამომდინარე, რადგან არჩევნებს ვერ ატარებდა, დირექტორებისთვის უფლებამოსილების ვადა გაეგრძელებინა, გვიპასუხა, რომ „ვადის გაგრძელება საჭირო არ იყო, უბრალოდ, უპირობოდ, ყველა უნდა გადაენიშნათ მოვალეობის შემსრულებლად. თუ ჩემი, სამინისტროს, ბრალია, რომ დროზე არ ჩავატარე კონკურსი, ეს ხალხი რატომ უნდა დავტოვო უმუშევრად. ეს აღარ გამოიწვევდა ეჭვებს და შერჩევით სამართალზე საუბარს“.



ესტატე შუშანიას სახელობის ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი მაისის საჯარო სკოლის დირექტორი **კობა კვიკვინია** ერთ-ერთი იმ დირექტორთაგანია, რომლებიც ელზა ბადაშვილმა, როგორც საუკეთესო დირექტორები, ისე დაახასიათა. ბატონ კობასაც 2020 წლის შემოდგომაზე ამოეწურა უფლებამოსილების 6-წლიანი ვადა და მისთვის სტატუსის შეჩერების ოფიციალური მიზეზიც სწორედ ეს გახდა.

სოფელ პირველი მაისის სკოლაში მოვლენები ასე განვითარდა: ვადის ამოწურვამდე, 9 ოქტომბერს, კობა კვიკვინიამ განცხადებით მიმართა სამინისტროს და მოითხოვა, დირექტორის მოვალეობის შემსრულებლად დაენიშნათ, პასუხი არ მიუღია, თუმცა, რეგიონში, დირექტორთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ, იმავე დროს გაგზავნილ იმავე შინაარსის მოთხოვნაზე, სამინისტროსგან დადებითი პასუხი მიიღო.

17 ოქტომბერს სკოლის დირექტორის მოადგილეს კორონავირუსი დაუდასტურდა, 22 ოქტომბერს კი სკოლის ბუღალტერმა მასწავლებლებს აცნობა, რომ ხელფასს ვეღარ გასცემდა, რადგან სკოლას არ ჰყავდა ოფიციალური ხელმძღვანელი, რომელიც ხელს მოაწერდა სახელფასო უწყისს.

26 ოქტომბერს სკოლის პედკოლექტივმა, ადმინისტრაციამ და ტექპერსონალმა, საკითხში გასარკვევად, სამინისტროს განცხადებით მიმართა: „მთელი სასკოლო საზოგადოება მივიჩნევთ, რომ ბატონი კობა სკოლის წარმატებაზე ორიენტირებული პირია და მას არ ჰქონია გადაცდომები. მისი საქმიანობა თანამედროვე სასკოლო მენეჯერის მოთხოვნებს სრულად პასუხობს. ბოლო წლებში სკოლა ჩართული იყო უამრავ პროექტში, სკოლის კურსდამთავრებულები უპრობლემოდ აბარებენ უმაღლეს სასწავლებლებში და, ამავე დროს, არა მხოლოდ რეგიონის დონეზე.“

პირველი მაისის სკოლის მასწავლებლები განათლების მინისტრისგან ყოფილი დირექტორის მოვალეობის შემსრულებლად დანიშვნას მოითხოვენ და მზად არიან, როგორც თვითონ აცხადებენ, სამართლიანობისთვის ბოლომდე იბრძოლონ.

„სკოლის ყველა თანამშრომელი გამოხატავს აღშფოთებას აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით და ითხოვს სასწრაფო რეაგირებას ბატონი მინისტრისგან, რაც მდგომარეობს იმაში, რომ დაუყოვნებლივ, უახლოეს ვადებში, სსიპ ესტატე შუშანიას სახელობის ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი მაისის საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლად დაინიშნოს ბატონი კობა კვიკვინია. წინააღმდეგ შემთხვევაში, სკოლის თანამშრომლები მიმართავენ უკიდურეს ზომებს.“

იმავე განცხადებაში ვკითხულობთ: „ამ ეტაპისთვის, კოვიდ-19 დადასტურებული აქვს სკოლის 5 თანამშრომელს და 4 მოსწავლეს. თვითიზოლაციის პირობებში მყოფ სკოლის თანამშრომლებს და მათ ოჯახებს ხელფასის მიუღებლობით მეტად მძიმე მდგომარეობაში ვაგდებთ.“

მოგვიანებით, „ფორსმაჟორის“ გათვალისწინებით, მასწავლებლებს ხელფასები, ოფიციალური პირის ხელმოწერის გარეშე, ჩაერიცხათ, მაგრამ დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის საკითხი ისევ გაურკვეველი დარჩა. იმ შემთხვევაში, თუ კობა კვიკვინიას დირექტორის მოვალეობის შემსრულებლად საქმიანობის გაგრძელების შესაძლებლობა არ მიეცემა, სასკოლო საზოგადოება სამინისტროსგან ცხად და კონკრეტულ განმარტებას ითხოვს, რის გამო ეთქვა მას უარი საქმიანობის გაგრძელებაზე.

„არანაირი პასუხი არ მიმიღია. გაურკვეველ ვითარებაში ვარ. ერთი, რომ უცნობია როდის დაინიშნება შერჩევითი კონკურსი და მეორეა, რომ სამინისტრო სამეურვეო საბჭოს წინააღმდეგ გამოდის, როცა თვითნებურად იღებს ამ გადაწყვეტილებას. როდესაც სკოლაში არანაირი პრობლემა არ არის, პირიქით, წარმატებულია ყოველმხრივ, ამ შემთხვევაში, რატომ უნდა ერეოდეს სამინისტრო, თუნდაც დროებით ნიშნავდეს, რამდენი ხნითაც უნდა იყოს, როდესაც არც ერთ რგოლში არანაირი უკმაყოფილება არ ყოფილა. გაოცებული ვარ მეც და ყველა, ვინც ჩახედულია ჩვენი სკოლის სიტუაციაში.“ – განაცხადა კობა კვიკვინიამ ჩვენთან საუბრისას.



თბილისის მე-10 საჯარო სკოლის ყოფილი დირექტორი **ბელა ხუბუტია** ამბობს, რომ პროცესში, რომელიც 8 სექტემბრიდან დაიწყო და დღესაც გრძელდება, არაკანონიერი არაფერია, უბრალოდ, ამის წინა პირობები და შემდგომი პირობები აჩენს ძალიან ბევრ კითხვის ნიშანს. „წინა პირობები არის ის, რომ ყველა რესურსცენტრის ხელმძღვანელს ჰქონდა მითითება, რაიონებში – სიებიც, რომელი დირექტორისთვის მიეცათ განცხადების დაწერის შესაძლებლობა, იმავე სკოლებში მოვალეობის შემსრულებლად გადანიშვნის შესახებ. იყვნენ დირექტორები, მათ შორის მეც, ვისაც ამის შესაძლებლობა არ მოგვეცა, არ ვიყავით სიაში და ცხადია, დირექტორობის უფლებამოსილების შეწყვეტამდე, არც გვითხრეს, რომ განცხადება უნდა დაგვეწერა. მე 8-ში შემიწყდა უფლებამოსილება და 9-ში, უკვე მოქალაქე ბელა ხუბუტიამ, მივმართე განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს (რესურსცენტრის გავლით არა), განცხადებით, რომ განეხილათ ჩემი კანდიდატურა მე-10 სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლად. ცხადია, ვიცოდი, რაც იქნებოდა შედეგი, მაგრამ კიდევ ერთხელ რომ დამედასტურებინა, რომ სამართალი შერჩევითია და არავითარი პროფესიული არგუმენტი ამ შემთხვევაში არ არსებობდა, მხოლოდ მიკერძოებული არგუმენტი იყო, ამიტომ გავაკეთე. ერთი თვის შემდეგ მივიღე პასუხი განცხადებზე, რომელშიც ვეუბნებოდი, რომ განეხილათ ჩემი კანდიდატურა მოვალეობის შემსრულებლად, მათ კი მომწერეს პასუხი, რომ – თქვენ ამოგეწურათ ვადა 8 სექტემბერს და ამიტომ შეგიწყდათ უფლებამოსილება. კითხვა ერთია და პასუხი – მეორე. დაგზავნილი პასუხები იმდენად შაბლონურია, რომ თბილისის ერთ-ერთი საჯარო სკოლის პედაგოგს, რომელმაც საკუთარ სკოლაში მოვალეობის შემსრულებლად მისი კანდიდატურის განხილვის თაობაზე მიმართა სამინისტროს განცხადებით, მისწერეს, რომ თქვენ ვერ განიხილებით ქუთაისის მე-4 საჯარო სკოლის დირექტორადო. ეტყობა, შაბლონსაც არ ცვლიან და ისე აგზავნიან დაკოპირებულ პასუხებს. ასეთი დამოკიდებულებაა.“

ქალბატონი ბელა მიიჩნევს, რომ განათლების სამინისტროში სისტემაში დასაქმებულ ადამიანებს პატივს არ სცემენ. ერთი მხრივ, ეროვნული ჯილდო აქვთ მასწავლებლის, საუკეთესო დირექტორის კონკურსი, ვითომ უნდათ მასწავლებლის და დირექტორის პოპულარიზაცია ქვეყანაში, მაგრამ, მეორე მხრივ, დირექტორის პროფესიული საქმიანობის იგნორირებას ახდენენ. „მე განვახორციელე სკოლის მართვა ჩვეულებრივ სიტუაციაშიც და კრიზისულ სიტუაციაშიც – სხვა სკოლის შენობაში გადაგვიყვანეს, ჩვენი შენობის ავარიულობის გამო და იქაც კი მოვახერხე, ცხადია, მთელ ჩემ გუნდთან ერთად, რომ არც ერთი მოსწავლე არ გადასულა სხვაგან სასწავლებლად, ყველა მასწავლებელს შეუნარჩუნდა შრომითი პირობები. ასე, რომ, ჩემთვის საინტერესოა, რა გახდა, მათი გადმოსახედიდან, ჩემი განთავისუფლების საფუძველი. თუ მე რაიმე პროფესიული ხარვეზი მაქვს, მაშინ არც ვადის ამოწურვას არ უნდა დაელოდონ, თუ სკოლაში სიტუაციას ვაფუჭებ, დროულად უნდა გამათავისუფლონ, მაგრამ როდესაც არაფერი ხელმოსაჭიდი არ არის, როდესაც წინ უდევთ მათივე მონიტორინგის არაერთი დადებითი დასკვნა, დადასტურებული მათი წარმომადგენლისა და ჩემი წარმომადგენლის ხელმოწერებით, რა უნდა მიპასუხონ, ცხადია, ვერაფერი.

აქედან გამომდინარე, კონტექსტი, ზოგადად, პოლიტიკური მიზეზია და საბაბი კი, ჩემ შემთხვევაში, შენობა გახდა. 2017 წლიდან ჩვენ ავარიულ შენობაში ვიმყოფებოდით. სკოლაში მშობელთა სათათბირო შევქმენი და აქტიურად ვიყავით ამ საქმეში ჩართული, სამინისტროსგან ვითხოვდი, რომ სკოლა გამაგრებულიყო, რომ ვითარება საფრთხის შემცველი იყო. 2019 წლამდე ავარიული შენობიდან არ გაგვიყვანეს და მცოცავი ბორდერიზაციასავით, გადატიხრული კედელი უფრო და უფრო აქეთ იწევდა. მე მათ მუდმივად ვაწუხებდი ამ თემასთან დაკავშირებით, ხედავდნენ, რომ კოლექტივშიც 100%-იანი მხარდაჭერა მქონდა. ჩემი არგადანიშვნის შემდეგ, პედკოლექტივმა, მშობელთა სათათბირომ სამინისტროს არაერთი წერილი მისწერა და მოსთხოვა, დაესახელებინათ განთავისუფლების მიზეზი, რა გავაფუჭე სკოლაში და ა.შ. მიწერეს, ასევე, იმ არაერთი წარმატებული პროექტის შესახებ, რომელსაც სკოლა ახორციელებდა და რაშიც, ცხადია, ყოველთვის დირექტორის და ადმინისტრაციის წილი დევს. მათაც იგივე პასუხი მიიღეს, რომ 8 სექტემბერს დირექტორს ვადა ამოეწურა. არც ერთ კითხვაზე პასუხი გაცემული არ არის.“

ქალბატონი ბელა პოლიტიკურ მოტივზეც საუბრობს და ამბობს, რომ ათვალიერებდნენ მის გვერდს, ხედავდნენ ვინ ჰყავდა მეგობრებში, კითხულობდნენ მის კომენტარებს: „დღეს, ამ დუხჭირ ცხოვრებაში, შეუძლებელია ადამიანს, მოქალაქეს არ ჰქონდეს პოლიტიკური სიმპატია-ანტიპატია. მასწავლებლების შემადგენლობა და მათი შეხედულებები, მინდა გითხრათ, მრავალგვარია, ზოგი მმართველ პარტიას უჭერს მხარს, ზოგი – ოპოზიციას, მაგრამ ამის გამო არც ერთ მასწავლებელს ჩემგან არასოდეს შეზღუდვია უფლება. არც ბავშვებთან მქონია არასოდეს საუბარი პოლიტიკურ თემაზე. პირიქით, ჩვენი მიზანია დეპოლიტიზებული სკოლა. სამინისტრომ თვითონ კარგად გაიხსენოს, რამდენად მნიშვნელოვანია სკოლების დეპოლიტიზება. სამწუხაროა, როდესაც სამინისტროს კონკრეტულ კითხვებზე პასუხები არ აქვს, როდესაც დისტანციურ სწავლებას ნორმალურად და სათანადო მზაობით ვერ ხვდება, როდესაც მათ მიერ დადებული შედეგები, რომ ყველა ჩართულია დისტანციურ სწავლებაში, ფარსია. მე მოქმედი მასწავლებელიც ვარ და ზუსტად ვიცი რა ხდება, ყველა სკოლის დირექტორმა იცის. მასწავლებლების გადამზადება იმ პლატფორმის მიხედვით, რომლითაც უნდა ჩატარდეს დისტანციური გაკვეთილები, ახლა მიმდინარეობს, მარტის თვიდან სექტემბრამდე არაფერი გაუკეთებიათ. რო-

## მწვავე თემა

*დესაც ვსვამდი ამ კითხვებს, რა თქმა უნდა, მათთვის კეთილსაიმედო და კომფორტული ადამიანი არ ვიყავი. ამიტომ ჯობია, ასეთ დირექტორს, უფლებამოსილების ამოწურვის შემდეგ, არ გაუგრძელდეს ხელშეკრულება დროებით მოვალეობის შემსრულებლად.*

*როცა პანდემიაზე აპელირებენ, ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ სწორედ პანდემიის პერიოდში, ჩატარდა 45 000 აბიტურიენტისთვის გამოცდები, პანდემიის დროს ჩატარდა 11 000-მდე მასწავლებლობის მსურველთათვის გამოცდა და დირექტორების კონკურსში, სულ, 2 000-მდე აპლიკანტი იყო დარეგისტრირებული. 10-ჯერ და 20-ჯერ მეტი მასისთვის თუ შესაძლებელი იყო გამოცდის ჩატარება, აქ რატომ გახდა შეუძლებელი. ეს შეგნებულად არჩატარებული გამოცდა იყო იმიტომ, რომ ე.წ. გადანიშნული, მინისტრის ბრძანებით დანიშნული დირექტორისგან განსხვავებით, არჩეული დირექტორის გათავისუფლება მარტივი არ არის, რადგან მას, არჩევის შემდგომ, სამეურვეო საბჭო უფორმებს ხელშეკრულებას და სამინისტროს, ბევრი პროცედურის გავლის და დადასტურებული დოკუმენტაციის წარდგენის შემდგომ, შეუძლია მხოლოდ ამის გაკეთება. ამიტომ, ცხადია, ეს წინასწარ გამიზნული, წინასაარჩევნოდ გათვლილი სიტუაცია იყო, თორემ 2 000-მდე ადამიანს გამოცდა, რა თქმა უნდა, ჩაუტარდებოდა.“*

ქალბატონი ბელა ამბობს, რომ დირექტორთა ის დიდი ნაწილი, რომელიც დარჩა, მუდმივ შიშშია. ყველამ ძალიან კარგად იცის კანონმდებლობა და იციან ისიც, რომ ერთი ბრძანებით შეიძლება მათი გათავისუფლება, ამიტომ ყველა დადუმებულია. არის რამდენიმე, თითზე ჩამოსათვლელი, დირექტორი, რომელიც დიდ პოლიტიკურ ზეწოლას ახდენს კოლექტივზე სამთავრობო კანდიდატის სასარგებლოდ და ეს ყველაფერი იცის სამინისტრომ, მაგრამ, ცხადია, მათ ხელს არ მოკიდებენ, რადგან იმ დირექტორების პოზიცია ემთხვევა სამინისტროსას.

სამინისტროს მხრიდან მსგავსი მიდგომა სკოლის დირექტორების მიმართ, განათლების ექსპერტის, **სიმონ ჯანაშიას** აზრით 5 სერიოზულ რისკს შეიცავს:

✔ *საზოგადოებაში სკოლების დირექტორების ავტორიტეტი იკლებს, რადგან მათ საზოგადოება უყურებს, როგორც პარტიულ მუშაკებს და არა როგორც მათი მომავლის განათლებით დაინტერესებულ ადამიანებს;*

✔ *საჯარო სკოლების ხელმძღვანელებად მუშაობით ინტერესდებიან სულ უფრო ნაკლებად პროფესიული უნარების მქონე და მეტად – პარტიული აქტივისტობის გამოცდილების მქონე ადამიანები;*

✔ *განათლების პოლიტიკა მიმართულია არა საზოგადოებრივი პრობლემების შესაბამისი ნაბიჯების გადადგმისკენ, არამედ პარტიული ინტერესების შესაბამისად;*

✔ *მოსწავლეებს, რომლებსაც უნდა ვუღვივებდეთ დემოკრატიულ ღირებულებებს, ამ მიზნის საპირისპიროდ – ანტიდემოკრატიული სისტემის მოქმედების მაგალითებს ვაჩვევთ;*

✔ *იფლანგება სკოლის დირექტორების მომზადების იმ პროგრამების ძალისხმევა, რომლებიც მათ ლიდერული უნარების გამომუშავებას და გამოყენებას ასწავლის. სამაგიეროდ, სკოლის დირექტორებს აჩვევს პარტიისა და სახელმწიფოს მიმართ მორჩილებას. ყველა ეს შედეგი ხელს უშლის საქართველოში მაღალი ხარისხის მქონე, დემოკრატიული პრინციპების გამტარებელი და განვითარებადი განათლების სისტემის შექმნას. საზოგადოებამ ამისთვის სახელმწიფოს და ნებისმიერ სახელისუფლებო პარტიას, რომელიც ამით არის დაკავებული, პასუხი უნდა აგებინოს არა მხოლოდ ამ არჩევნებზე, არამედ ყოველთვის!*

განათლების ექსპერტს, **თამარ მოსიაშვილს** მიაჩნია, რომ ჩვენთან არ არსებობს მადლობის გადახდა გაწეული შრომისთვის და განათლების სისტემა ისეა მოწყობილი, რომ სკოლის ხელმძღვანელი რეალურად ლიდერი ვერ იქნება.

*„ადამიანი მუშაობს სკოლის ხელმძღვანელად. ამოეწურა ვადა. სამინისტრო არ ნიშნავს არჩევნებს, ზოგს ათავისუფლებს, ზოგს კი უგრძელებს ხელშეკრულებას.*

*ახლა ვინც ამტკიცებთ, რომ სკოლის დირექტორი ლიდერია, უნდა იყოს ლიდერი, მჭერმეტყველურად ლაპარაკობთ სხვადასხვა შეხვედრებზე, მედიასა და კონფერენციებზე, იღებთ ფოტოებს, თუ ხვდებით, რომ სისტემა ისეა მოწყობილი, რომ ლიდერი ვერ იქნება სკოლის ხელმძღვანელი. ლიდერი კი არა, ჭანჭიკივით მოასრიალებს ბიუროკრატი, თუ დასჭირდა.*

*სამინისტროს უფლებამოსილება სკოლის მართვის საკითხებში უნდა შეიზღუდოს, ამის გარეშე ვერ გაძლიერდება სკოლები. მაგრამ სამინისტროს და მათთან აფილირებულებს ეს არ ანაღვლებთ. თავად დაყავთ შვილები ამერიკულ, ფრანგულ, გერმანულ, ბრიტანულ, ესპანურ, ზანზიბარულ, მაროკოულ, მექსიკურ და სხვა სკოლებში და ქართული სკოლა რაში ანაღვლებთ.*

*საქართველოს მომავალი კი ძლიერ ქართულ სკოლაშია, რომელსაც ჩინოვნიკები ყმებივით ექცევიან. სოლიდარობა რომ არ არსებობს, ეს უკვე ტრადიციაა ამ გარემოში. ვის როდის გეწურებათ ვადა? არჩევნებს როდის დანიშნავენ არავინ იცის. თუ დანიშნეს, ვის და სად გადაანაწილებენ, არც ის. ვინ იქნება შემდეგი?“*



დაბოლოს გთავაზობთ ამონარიდს თბილისის 28-ე საჯარო სკოლის ყოფილი დირექტორის, **გიული ხარხელის** მიმართვიდან, რომელიც საკუთარ ფეისბუქ გვერდზე გამოაქვეყნა:

*„ძვირფასო მშობლებო და პედაგოგებო, საყვარელო მოსწავლეებო!*

*დიდი მადლობა მინდა გადაგიხადოთ იმ მხარდაჭერისათვის, რაც ჩემთვის მძიმე დღეებში გამოხატეთ. აქვე მინდა გითხრათ, რომ ეს სიმძიმე ჩემი მშობლების ჯანმრთელობიდან გამომდინარეობს და დირექტორად არ დამტკიცებას არანაირად არ უკავშირდება. ძალიან მიყვარხართ ყველანი.*

*ყველას დიდ ბოდიშს გიხდით, რომ ვერ შემოვუერთდი თქვენს პროტესტს, არა იმიტომ, რომ არ მინდა, რომ ისევ ვიყო სკოლის დირექტორი და გავაგრძელო ჩემი საყვარელი საქმე, არც იმიტომ, რომ გათავისუფლება ნორმალური ფორმით, კანონიერად ან მიზანშეწონილად მოხდა, არამედ იმიტომ, რომ მე არ შემიძლია და არც მინდა, ვინმე კონკრეტული პიროვნების დირექტორობისთვის ვიბრძოლო, თუნდაც ჩემი თავისთვის.*

*ახლა მთავარია, რომ ამ გათავისუფლებამ უკეთესი კანდიდატურის დანიშვნის ვალდებულება წარმოშვა ამ ქმედების ჩამდენთათვის!!! მოდით, მოვითხოვოთ უკეთესი დირექტორი, რადგან თითოეული ჩვენგანი ვიმსახურებთ საუკეთესო სკოლას! უფრო მეტიც, ვალდებულებიც ვართ მოვითხოვოთ ჩვენი, ჩვენი მეზობლების თუ ნათესავების შვილების, ჩვენი მოსწავლეების წინაშე, რადგან უკეთესი სკოლა ნიშნავს მათ უკეთეს მომავალს, უარესი კი – მათ გაწირვას წარუმატებელი ცხოვრებისათვის!“*

ასეთი სურათია დღეისათვის, ვნახოთ, როგორ განვითარდება პროცესი, ჩვენი რედაქცია მიადევნებს თვალს მოვლენათა მსვლელობას.

Info
www.akhaliganatleba.ge

# მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამების 1844 მაღალკურსელი უკვე გადამზადდა

უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ სპეციალურად შეიმუშავა გადამზადების სწრაფი ტრენინგ-კურსი „Covid-19“ ჰიბრიდული ფორმით (როგორც ონლაინ, ასევე არადისტანციურად). კორონავირუსის ეფექტიანად მართვის მიზნით, მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამების 1844 მაღალკურსელი უკვე გადამზადებულია.

გადამზადების პროგრამის მთავარ მიზანს სამედიცინო პერსონალის სარეზერვო ბაზის შექმნა წარმოადგენს. გადამზადებული სტუდენტები, კოვიდ-სიტუაციის მართვის პროცესში, საჭიროების შემთხვევაში, მედპერსონალის დასახმარებლად მზად არიან.

სტუდენტთა გადამზადების პროგრამა სისტემურად გაგრძელდება. ამ მიმართულებით საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ უნივერსიტეტებისთვის შემუშავდა ჩარჩო პროგრამა – „Covid-19-ის ზედამხედველობისა და მართვის პრინციპები“, რომლის ფარგლებშიც, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები თავად უზრუნველყოფენ სავალდებულო შიდა საუნივერსიტეტო ტრენინგ-კურსის ჩატარებას მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამის მაღალკურსელებისთვის. აღნიშნული კონტინგენტის გათვალისწინებით, უნივერსიტეტები ადგენენ იმ სტუდენტთა სიებს, რომლებიც სურვილს გამოთქვამენ, ჩაირიცხონ სამედიცინო პერსონალის სარეზერვო ბაზაში.

ერთკვირიანი ტრენინგ-კურსი სრულად მორგებულია პანდემიის მართვის პროცესში სამედიცინო პერსონალის დამხმარე მოხალისე სტუდენტთა საჭიროებებსა და გამოწვევებზე. კორონავირუსის მართვის კუთხით, პროგრამა სხვადასხვა მიმართულებებსა და თემატურ ლექციებს მოიცავს, მათ შორის, მედპერსონალის პირად უსაფრთხოებას, Covid-19-ის შემთხვევების მართვას, პანდემიის პირობებში ეფექტურ კომუნიკაციას, ინფიცირებულთა ფსიქოსოციალურ დახმარებასა და ინფიცირებულთა კონტაქტების დადგენას.



კურსის ვიდეომასალა განთავსებულია ბმულზე: https://www.mes.gov.ge/content.php?id=11334&lang=geo და ქვეყნის მასშტაბით ყველა ავტორიზებული უნივერსიტეტის მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამის მაღალკურსელი სტუდენტისთვის არის ხელმისაწვდომი.

გადამზადების პროცესში აქტიურად არიან ჩართული როგორც ჯანდაცვის სამინისტროს საოჯახო მედიცინის ეროვნული სასწავლო ცენტრისა და საქართველოს წითელი ჯვრის ორგანიზაციის წარმომადგენლები, ასევე შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრის – 112-ის ტრენერები.

# დაწყებითი საფეხურის მასწავლებლები და სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლები დისტანციური სწავლების უნარებს გაიუმჯობესებენ

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, ესტონეთის მთავრობისა და გაეროს ბავშვთა ფონდის ერთობლივი პროექტის ფარგლებში, საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლები, ადმინისტრაციის წარმომადგენლები და განათლების სისტემის თანამშრომლები დისტანციური სწავლების მიმართულებით გადამზადდებიან.

პროექტი, რომელიც, საქართველოს მასშტაბით, 100 საჯარო სკოლაში განხორციელდება, მიზნად ისახავს მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო პრაქტიკის – ესტონური გამოცდილების გაზიარებით მოსწავლეების განათლების ხარისხის გაუმჯობესებასა და საგანმანათლებლო სისტემის წარმომადგენლების გადამზადებას.

პროექტის პრეზენტაცია 186-ე საჯარო სკოლის შენობაში გაიმართა, რომელშიც მონაწილეობა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილემ, ეკატერინე დგებუაძემ, ესტონეთის ელჩმა საქართველოში, რინა კალიურანდმა და გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენელმა, ღასან ხალილმა მიიღეს. შეხვედრაზე მხარეებმა პროექტში ჩართული სკოლების ადმინისტრაციასა და პედაგოგებს სამომავლო გეგმები გააცნეს, მათთან დისკუსია გამართეს და ახლად აშენებული სკოლა დაათვალიერეს.



ეკატერინე დგებუაძემ დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა, მადლობა გადაუხადა ესტონეთის ელჩსა და გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენელს ნაყოფიერი თანამშრომლობისთვის და ყურადღება გაამახვილა ახალგაზრდებისთვის ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფის მიმართულებით ახალი პროექტის განხორციელების მნიშვნელობაზე.

პროექტის ფარგლებში, საქართველოს საგანმანათლებლო სისტემის წარმომადგენლები, მათ შორის, სამინისტროსა და სკოლების ადმინისტრაციები გაეცნობიან ესტონურ მოდელს, კერძოდ, დისტანციური სწავლების დანერგვის პრაქტიკასა და ამ კუთხით შემუშავებულ კონცეფციებს, დაწყებითი განათლების მასწავლებლებს საშუალება ექნებათ, გაიარონ მომზადება კომპეტენციებზე დაფუძნებულ სწავლა-სწავლების მეთოდოლოგიაში, ხოლო სკოლების ადმინისტრაციებისა და საგანმანათლებლო რესურსცენტრების წამომადგენლები მოსწავლეებზე ორიენტირებული საგანმანათლებლო გარემოს უზრუნველყოფისა და სკოლის მენეჯმენტის მიმართულებით გადამზადდებიან. პროექტი, საერთაშორისო გამოცდილებისა და საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად, ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის საშუალო საფეხურის რევიზიასაც გულისხმობს.

დისტანციური სწავლების ხელშეწყობის პროგრამა, რომელიც ესტონეთის მთავრობის მიერ სრულად ფინანსდება, 2020 წლის სექტემბერში დაიწყო და 2 წლის განმავლობაში გაგრძელდება.

*ესტონეთის მთავრობას, საქართველოს მთავრობასა და გაეროს ბავშვთა ფონდს შორის 2014 წელს დაწყებული პარტნიორობა მიზნად ისახავს ქართველი მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლებასა და ბავშვებისთვის განათლების ხარისხის გაუმჯობესებას.*

*2014-2016 წლებში განხორციელებული პარტნიორობის ფარგლებში, გადაიხედა I-IX კლასების ეროვნული სასწავლო გეგმა. 2017-2019 წლებში, მთელი ქვეყნის მასშტაბით, შერჩეული 20 საპილოტე სკოლის მასწავლებლებმა გაიარეს მომზადება და სწავლების ინოვაციურ მიდგომებს გაეცნენ. პარტნიორობის ფარგლებში, ასევე, მოეწყო სასწავლო ტური ესტონეთში, სადაც საქართველოს შერჩეული სკოლების დირექტორები და მასწავლებლები ადგილზე გაეცნენ ესტონეთის განათლების სისტემის პოლიტიკასა და მიდგომებს სასწავლო გეგმასთან, მონიტორინგსა და ხარისხის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით. პროექტში ჩართული იყვნენ ესტონეთის უნივერსიტეტების სასწავლო გეგმის ექსპერტები და მეცნიერები.*

ონლაინ გარე დაკვირვება

# ისეთი აქტივობები დაგეგმეთ, რომელიც დროს ფუჭად არ დაგაკარგვინებთ

ანა ფირცხალაიშვილი

***სკოლებში ონლაინ გარე დაკვირვების რუბრიკა დაიწყო. უფროს მასწავლებლებს, რომლებსაც, სტატუსის გაუმჯობესების მიზნით, ერთ-ერთ სავალდებულო აქტივობად, გაზაფხულზე, გარე დაკვირვება უნდა განეხორციელებინათ, პანდემიის გამო გადაუვადდათ და ახალი სასწავლო წლიდან რეგისტრაცია თავიდან გამოცხადდა.***

***მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნულმა ცენტრმა წამყვანი მასწავლებლის სტატუსის მოპოვების მსურველებს, პირისპირ დაკვირვების რუბრიკის გარდა, სპეციალურად მომზადებული ონლაინ დაკვირვების რუბრიკა შესთავაზა.***

***სიახლემ, ცხადია, მასწავლებლებში დაბნეულობაც და მღელვარებაც გამოიწვია, რადგან ონლაინ პლატფორმით სწავლება მათთვის ისედაც დიდი გამოწვევაა, მით უფრო, როცა მათ დამკვირვებელი ადევნებს თვალს.***

***პედაგოგების ნაწილმა გარე დაკვირვების შეფასებისთვის დისტანციური გაკვეთილები ჩაატარა. გთავაზობთ მათ შთაბეჭდილებებს – როგორ წარიმართა დაკვირვების პროცესი და რა დეტალები უნდა გაითვალისწინონ იმ კოლეგებმა, რომლებიც ჯერ კიდევ გარე დაკვირვების მოლოდინის რეჟიმში იმყოფებიან.***

## ⇨ რჩევები კოლეგებს



**მარი ჯინჭარაძე**
*თბილისის ილია ჭავჭავაძის სახ. №23 საჯარო სკოლის სპორტის უფროსი მასწავლებელი*

ზოგი მასწავლებლისთვის ეს უკვე ღიმილნარევი მოგონებაა, ზოგიერთისთვის კი დაძაბული მოლოდინის რეჟიმი, უძილო ღამეები და უსასრულო ფიქრები. მეც იმ მასწავლებელთა რიგებში აღმოვჩნდი, ვისაც გარე დაკვირვება ონლაინ რეჟიმში მოუწია. დიდი იყო განცდა და ემოცია. ვღელავდი ორმაგად, ჩემი საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, რადგან სპორტს ვასწავლი და ისეთი გაკვეთილი უნდა ჩამეტარებინა, რომ ყველანაირ ფორმატს მოვრგებოდი. რა თქმა უნდა, აქცენტი თეორიულ მასალაზე, კერძოდ, ჯანსაღი ცხოვრების წესზე შევაჩერე.

მართალია, ონლაინ გაკვეთილებს მარტიდან ვატარებ, მაგრამ, როცა საქმე გარე დაკვირვებას და კარიერულ წინსვლას ეხება, პასუხისმგებლობაც და სურვილი იმისა, რომ მაქსიმალურად დაიხარჯო და თავი საუკეთესოდ წარმოაჩინო, იმატებს. მარტო სურვილიც არ კმარა, უნდა ფლობდე კომპიუტერულ უნარ-ჩვევებს, მართავდე ონლაინ პლატფორმას და, ყველაფერთან ერთად, ხელი უნდა შეგიწყოს ინტერნეტმა.

და აი, სანატრელი პერიოდიც დადგა, რომელსაც ასე დიდხანს, მოუთმენლად ველოდი გულის ფანცქალით. და როდესაც დამკვირვებელთან წინასაგაკვეთილო შეხვედრაც შედგა, ნერვიულობა თითქოსდა მომეხსნა, დადებითი ემოციები და პოზიტივი წამოვიდა. მოვეშვი და დაძაბულობაც სადღაც გაქრა. გაკვეთილი ჩავატარე თავისუფლად და ყველაფერმა კარგად ჩაიარა.

ახლა გარე დაკვირვების გაკვეთილი, რომელსაც ასე მოუთმენლად ველოდი, ჩემთვისაც ტკბილ მოგონებად იქცა.

მინდა პატარა რჩევა მივცე იმ პედაგოგებს, ვინც გარე დაკვირვების გაკვეთილს ონლაინ ელოდება. პირველ რიგში, გამართული ინტერნეტი. დამშვიდდით, მოდუნდით, არ ინერვიულოთ, არ დაიძაბოთ, იყავით თავისუფალნი თქვენს ქმედებებში, იყავით ბუნებრივები და არ არის საჭირო გაკვეთილის სპექტაკლად გადაქცევა. მაქსიმალურად წარმოაჩინეთ კომპიუტერული უნარ-ჩვევების ცოდნა და გამოიყენეთ ყველა შესაძლებლობა, რათა გაკვეთილი უფრო საინტერესო და ეფექტური გამოვიდეს. მოსწავლეები მაქსიმალურად ჩართეთ საგაკვეთილო პროცესში და მერწმუნეთ, ყველაფერი კარგად იქნება.

ნერვიულობა და ღამისთევა წარსულს ჩაბარდა. ყველას წარმატებას და წინსვლას გისურვებთ.

ჩვენ პედაგოგები ვართ და გვაქვს ვალდებულება, მოსწავლეებს ყველანაირ ექსტრემალურ სიტუაციაში განათლება მივცეთ. ესეც შევძელით.

> ⇨ ***ვღელავდი ორმაგად, ჩემი საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, რადგან სპორტს ვასწავლი და ისეთი გაკვეთილი უნდა ჩამეტარებინა, რომ ყველანაირ ფორმატს მოვრგებოდი.***
>
> ⇨ ***იყავით თავისუფალნი თქვენს ქმედებებში, იყავით ბუნებრივები და არ არის საჭირო გაკვეთილის სპექტაკლად გადაქცევა.***

## ⇨ რჩევები კოლეგებს



**მაია გორჯოლაძე**
*კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემოჭალის საჯარო სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელი*

გარე დაკვირვებას, ისე როგორც დანარჩენი მასწავლებლები, გაზაფხულზე, აპრილში ველოდებოდი და ამ პერიოდისთვის მომზადებული ვიყავი, საკლასო სივრცეში – პირისპირ ჩამეტარებინა გაკვეთილი. თუმცა, როგორც იცით, პანდემიამ ყველაფერი შეცვალა, მათ შორის, ჩვენი გეგმებიც. ამ ეტაპზე, სკოლაში, ისევ პირისპირ ვატარებდით გაკვეთილს, თუმცა, ჩემს კოლეგას კოვიდ ინფექცია დაუდასტურდა და ამიტომ, გარკვეული პერიოდი, ონლაინ რეჟიმზე გადასვლა მოგვიწია. ამას ისიც დაემატა, რომ სკოლაში საარჩევნო შტაბი განთავსდა, რის გამოც ერთი კვირით გახანგრძლივდა ონლაინ სწავლების რეჟიმი. ასეთ ექსტრემალურ სიტუაციაში აღმოვჩნდი – რადგან პირისპირ სწავლებაზე გათვლილი გაკვეთილის გეგმები ავტვირთე, გეგმების მოდიფიცირება მომიწია, თან ჩემი სკოლა სოფლის სკოლაა (ნახევრად მთიანი ზონა) და ზოგადად, ნაკლებად ვიყავით მომზადებული ონლაინ სწავლებისთვის.

გაზაფხულზე თიმსის პლატფორმა კი დაინერგა სკოლებში, მაგრამ ჩვენ ვერ ვიმუშავეთ თიმსით იმის გამო, რომ ჩვენს ბავშვებს არ ჰქონდათ კომპიუტერები, ტელეფონები და ინტერნეტი. სრულიად მოუმზადებელი შევხვდით აპრილში ამ გამოწვევას. გაზაფხულზე ასეთი მითითება მოგვივიდა: გამოიყენეთ ნებისმიერი საშუალება – თუნდაც ტელეფონზე დაურეკეთ ბავშვებს, მისწერეთ მესინჯერში და ა.შ. მოკლედ, მართლა ყველა ღონეს ვხმარობდით საიმისოდ, რომ ბავშვთან კონტაქტი გვქონოდა. მერე, ცოტა მოგვიანებით, შეიქმნა პროგრამა feedc, რომელშიც დავიწყეთ მუშაობა. თუმცა, ეს არ იყო დახვეწილი პლატფორმა, მეტიც, უხარისხო იყო – ბავშვებთან არ გვქონდა პირისპირ კომუნიკაცია, ჩვენი ხმა ესმოდათ, მაგრამ მათი ხმა არ გვესმოდა. აქაც მხოლოდ „ჩატით“ ვახერხებდით კომუნიკაციას. ცხადია, ამან ვერ იმუშავა. ახლა, როცა ისევ აღმოვჩნდით მსგავს სიტუაციაში, იძულებული გავხდით (ეს კარგიც არის ჩვენთვის), თიმსის დანერგვა დაგვეწყო, რაც შესაძლებელი იქნებოდა მშობლების მხარდაჭერით. გარე დამკვირვებელს ძალიან გულღიად ვუთხარი, რომ მე თიმსში მუშაობის, დაახლოებით, ათი დღის გამოცდილება მაქვს. ღამეები გავათენე იმისთვის, რომ ამეთვისებინა ის უნარები, რაც თიმსში მუშაობას სჭირდება. რაც შეეხება ბავშვებს, გაზაფხულის შემდეგ, მშობლებმა ეს პრობლემა მეტ-ნაკლებად მოაწესრიგეს, შვილებს ტელეფონები უყიდეს, ინტერნეტს ყიდულობენ და ა.შ.

ათდღიანი თიმსის ისტორიით ჩავატარე გარე დაკვირვების გაკვეთილი ბიოლოგიაში, მერვეკლასელებთან. გაზაფხულზე მეშვიდე კლასის გაკვეთილისთვის ვიყავი მომზადებული. ბუნებრივია, აქაც ყველაფრის შეცვლა მომიწია და ახლა მერვე კლასისთვის მოვემზადე. რაც შეეხება გეგმებს, ონლაინ სწავლებისთვის განკუთვნილი გეგმები ცოტა განსხვავებულია პირისპირ სწავლების გეგმებისგან. აქ, ელემენტარულად, დროის ფორმატიც გასათვალისწინებელია. საბაზო საფეხურზე გაკვეთილი ნახევარი საათი მიმდინარეობს.

აუცილებლად მინდა ვთქვა ისიც, რომ უზომოდ კეთილგანწყობილი დამკვირვებლები ესწრებიან გაკვეთილებს, ეს მხოლოდ ჩემი აზრი არ არის. ჩვენ შევქმენით გარე დაკვირვების მომლოდინეთა ჯგუფი და იქ ათასობით მასწავლებელი წერს შთაბეჭდილებებს და გვიზიარებს პრობლემებს. ვინც გაიარა გარე დაკვირვება, ყველა ერთი და იმავეს ამბობს, რომ მართლა უზომოდ კეთილგანწყობილი დამკვირვებლები არიან და არ არიან ჩასაფრებულ პოზიციაში – გვიპოვონ ნაკლი ან მხოლოდ ხარვეზები გამოავლინონ. წინასაგაკვეთილო შეხვედრაზეც ბევრი რამ შევიტყვეთ დამკვირვებლებისგან, ვისაუბრეთ მკვიდრ წარმოდგენებზე, როგორ ვმუშაობთ ეროვნულ სასწავლო გეგმასთან მიმართებაში და ა.შ. წესებიც კიდევ ერთხელ შემახსენეს. მაგალითად, გარე დამკვირვებელმა ამიხსნა, თუ საგაკვეთილო პროცესის წყვეტა 15 წუთი გრძელდება, მაშინ გაკვეთილი ხელახლა უნდა დაიგეგმოს, მაგრამ მცირე დროით წყვეტის შემთხვევაში, ეს დრო ემატება გაკვეთილს, შესაბამისად არანაირი საფრთხე არ ემუქრებოდა გარე დაკვირვების პროცესს. რადგან ამ დეტალების შესახებ ვიცოდი, უფრო მშვიდად ვიყავი.

საბედნიეროდ, არ შემქმნია ტექნიკური ხარვეზი. მიუხედავად იმისა, რომ დღის განმავლობაში გვიჭირდა გაკვეთილების ჩატარება, ზოგადად, იმ დღეს დიდი შეფერხებები გვქონდა, კონკრეტულად ჩემი გაკვეთილის დროს კი, ეს ხარვეზები გამოსწორდა.

რაც შეეხება აქტივობებს, მასწავლებლები წუხდნენ იმაზე, რომ თითქოს გაკვეთილზე აქტივობები არ უნდა განმეორებულიყო. მე ამ მითითების შესახებ არსად არაფერი წამიკითხავს. ამიტომ, ჩემს გაკვეთილზე, რასაკვირველია, ისე გამოვიყენე აქტივობები, როგორც დამჭირდა. მთავარია ვიცოდე, რომ აქტივობა შედეგზე გამიყვანს და ჩემი მიზნის შესაბამისი იქნება. აქედან გამომდინარე, მიზანთან თანხვედრაში მყოფი აქტივობის განხორციელებას არავინ გვიკრძალავს, თუნდაც ერთი და იმავეს გამოყენებას. რაც მთავარია, დამკვირვებელს აინტერესებს არის თუ არა ჩემს გაკვეთილში გამოყენებული აქტივობა მიზნის პროპორციული და შედეგის პირდაპირპროპორციული.

ონლაინ გარე დაკვირვებისას, არც კლასის ორგანიზების დიდი არჩევანი გვაქვს, ეს საკლასო სივრცეში უფრო მეტადაა შესაძლებელი – კლასში ვიყენებთ როგორც ჯგუფურ, ასევე წყვილებში მუშაობას. ონლაინ სწავლებისას კი ეს არ ხერხდება, პირადად მე, დისტანციურ გაკვეთილზე უფრო ინდივიდუალურ მუშაობას ვიყენებ.

ალბათ, ბევრს გაუჩნდება კითხვა – ბავშვები როგორ გრძნობენ თავს? არიან თუ არა დაძაბულები? დაძაბული სიტუაცია ნამდვილად არ არის და შესაბამისად, არც ბავშვები გრძნობდნენ თავს დაძაბულად. არანაირი ღელვა არ ჰქონიათ, ეს იმის დამსახურებაცაა, რომ უფრო ლაღი თაობაა და ცოტა ჩვენიც – მასწავლებლების. მაქსიმალურად ვცდილობდი, ისეთი გარემო შემექმნა, სადაც ისინი თავს ძალიან თავისუფლად იგრძნობდნენ. გამუდმებით ვესაუბრებოდი წინასწარ, რომ ყოფილიყვნენ რაც შეიძლება თამამები, გამოეთქვათ საკუთარი აზრები, რომ სანერვიულო მართლა არაფერი ჰქონდათ, პირიქით, გამიხარდებოდა მათგან განსხვავებული აზრის მოსმენა, თუნდაც ეს აზრი არ ყოფილიყო სწორი.

სხვათა შორის, არც მასწავლებლებს არ აქვთ არაფერი სანერვიულო. იმ მასწავლებლებს, რომლებსაც, დროებით, სასწრაფო რეჟიმში მოგვიწია ონლაინ ფორმატზე გადართვა, შემოგვთავაზეს, თუ ონლაინ დაკვირვების სურვილი არ გვქონდა, დაველოდებოდით პირისპირ სწავლების აღდგენას, რაც, წესით, არჩევნების დასრულების შემდეგ მოხდებოდა (მაგალითად, ჩვენს სკოლაში ასე იყო გათვალისწინებული) და პირისპირ ჩაგვეტარებინა გაკვეთილი. არჩევანის საშუალება მოგვცეს, მაგრამ მე მაინც ეს გზა ავირჩიე, რადგან ისევ ლოდინის რეჟიმში ყოფნას ასე მერჩია, თან უკვე იმაშიც დავრწმუნდი, რომ მზად ვიყავი და თიმსის პლატფორმით შევძლებდი გაკვეთილის ჩატარებას. ჩემგან განსხვავებით, ალბათ, მასწავლებლების ნაწილმა ისევ ლოდინი აირჩია.

მინდა კოლეგებს ვუთხრა – ძალიან ვღელავდი, ღამეებ-

> ⇨ ***ათდღიანი თიმსის ისტორიით ჩავატარე გარე დაკვირვების გაკვეთილი ბიოლოგიაში, მერვეკლასელებთან.***
>
> ⇨ ***ძალიან ვღელავდი, ღამეებსაც ვათენებდი ამაზე ფიქრით, მაგრამ ახლა, ამ გადმოსახედიდან ვფიქრობ, რომ შეიძლება საკლასო სივრცეში ამდენი რესურსის და საშუალების გამოყენების შესაძლებლობა არ მომცემოდა.***
>
> ⇨ ***ონლაინ გაკვეთილზე უფრო სწრაფად ახერხებ კომუნიკაციას, ინტერნეტრესურსები მაინც სხვაგვარად სწრაფად გაკეთებინებს საქმეს.***

## ონლაინ გარე დაკვირვება

საც ვათენებდი ამაზე ფიქრით, მაგრამ ახლა, ამ გადმოსახედიდან ვფიქრობ, რომ შეიძლება საკლასო სივრცეში ამდენი რესურსის და საშუალების გამოყენების შესაძლებლობა არ მომცემოდა. საკლასო ოთახში, მაგალითად, ელექტროენერგია არ მაქვს. როგორც გითხარით, სოფლის სკოლაა, რომელიც რეაბილიტაციის პროგრამაშია ჩასმული, თუმცა, ჯერჯერობით, არაფერი გაკეთებულა – ეს საქმე არც წინ მიდის და არც უკან. როცა საკლასო ოთახში, ელემენტარულად, დენი არ გვაქვს, ასეთ ვითარებაში გარე დაკვირვების გავლას, სიმართლე გითხრათ, ონლაინ დაკვირვება მერჩივნა, რადგან შესაძლებლობა მომეცა, გაკვეთილი ონლაინ რესურსებით დამეტვირთა. ამას ისიც ემატება, რომ გაკვეთილს შინაურ სივრცეში ატარებ (სახლში ხარ), თავს უფრო მშვიდად გრძნობ. ის ფაქტორიც ძალიან დადებითად აისახება, რომ გაკვეთილზე დამკვირვებელი არ გიზის და თვალებში არ გიყურებს (ეს დისკომფორტიც მოხსნილია). ყოველ შემთხვევაში, მე ასეთი შეგრძნება დამეუფლა, რომ არავინ მაკონტროლებდა, მარტო მე და ჩემი ბავშვები ვიყავით საქმით დაკავებულები. კლასში ათი მოსწავლე მყავს და მათგან სამი, ავადმყოფობის გამო, ვერ ჩაერთო.

კიდევ ერთ დეტალს დავამატებ ჩემი კოლეგების საყურადღებოდ: გაკვეთილის პროცესში ძალიან ბევრ რამეზეა აქცენტი გასაკეთებელი, მაგრამ, პირველ რიგში, აუცილებლად კარგად უნდა მოაგვარონ საორგანიზაციო საკითხები და უკვე მერე განიხილონ ის აქტივობები დეტალურად, რომლითაც გაკვეთილი უნდა წარმართონ. წინასწარ დეტალურად განხილვას იმიტომ ვურჩევ, რომ კარგად დარწმუნდნენ, არის თუ არა ესა თუ ის აქტივობა, რომლის გამოყენებასაც აპირებენ, კონკრეტული მიზნის მისაღწევად საჭირო. ამით თავიდან აირიდებენ გაურკვევლობას, რომელიც, შესაძლოა, გაკვეთილის პროცესში წარმოიშვას. მოკლედ, ისეთი აქტივობა დაგეგმეთ, რომელიც დროს ფუჭად არ დაგაკარგვინებთ. არც გაკვეთილის დროის სიმცირემ შეგაშინოთ, დროის სიმცირის მიუხედავად, ვფიქრობ, შესაძლებელია მიზანზე გასვლა იმიტომ, რომ საკლასო სივრცეში დრო უფრო მეტად იკარგება ისეთ კომუნიკაციაზე, რომელიც ონლაინ გაკვეთილის ჩატარებისას, უბრალოდ, არ გჭირდება. ის 15 წუთი, რომელიც პირისპირ სწავლებისას დამემატებოდა, რეალურად არაფერს მომცემდა, რადგან ეს დრო შეიძლება რესურსების დარიგება-აკრეფაში დამეხარჯა. ონლაინ გაკვეთილზე კი, ამისთვის დრო არ გეკარგება, უფრო სწრაფად ახერხებ კომუნიკაციას, ინტერნეტრესურსები მაინც სხვაგვარად სწრაფად გაკეთებინებს საქმეს.

### ⇨ რჩევები კოლეგებს



მირანდა ჟორჟოლიანი
*აბაშის მუნიციპალიტეტის სოფელ ზანათის საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი*

ონლაინ სწავლებაზე გადასვლა, მოულოდნელად, არჩევნების გამო მოგვიხდა. გარე დაკვირვებისთვის VII კლასში ჩავატარე გაკვეთილი ქართულ ლიტერატურაში. ძალიან ვღელავდი, 30 წუთში, უხარისხო ინტერნეტის პირობებში, როგორ გავართმევდი თავს გაკვეთილის სრულფასოვნად ჩატარებას. ამიტომ, მეზობელ სოფელში წავედი, სადაც ინტერნეტი უკეთესად მიეწოდებათ.

მარტივი მიზანი დავისახეთ – შესასწავლი მასალის ირგვლივ დამოკიდებულების გამოხატვა, დედააზრის გაგება და გადმოცემა. შევძელი მცირე აქტივობების ჩატარებაც დაფისა და Power Point-ის გაზიარებით, კითხვა-პასუხით.

ასე რომ, ვფიქრობ, ჩემი მღელვარება გადამეტებულიც იყო, გადაულახავი არაფერია, გაკვეთილით უკმაყოფილო არ ვარ, ყველაფერი მოვასწარი, მისალმებით დაწყებული დავალების მიცემით დამთავრებული. ცხრავე მოსწავლე მესწრებოდა, მხოლოდ ერთი შემოვიდა დაგვიანებით, ისიც ტექნიკური ხარვეზის გამო. ჩვენი ძირითადი პრობლემა ტექნიკური მხარეა. დარწმუნებული ვარ, ხარისხიანი ინტერნეტის პირობებში, არც მე და არც ერთ ჩემს კოლეგას გარე დაკვირვებისთვის კარგი გაკვეთილის ჩატარება არ გაგვიჭირდება.

***⇨ მეზობელ სოფელში წავედი, სადაც ინტერნეტი უკეთესად მიეწოდებათ. ჩვენი ძირითადი პრობლემა ტექნიკური მხარეა. დარწმუნებული ვარ, ხარისხიანი ინტერნეტის პირობებში, არც მე და არც ერთ ჩემს კოლეგას გარე დაკვირვებისთვის კარგი გაკვეთილის ჩატარება არ გაგვიჭირდება.***

### გარე დაკვირვების მომლოდინეთა საყურადღებოდ!

**რეფლექსიების ატვირთვასთან დაკავშირებით, ზოგიერთი მასწავლებელი პრობლემას აწყდება. გაითვალისწინეთ, გარე დაკვირვების გაკვეთილის ჩატარების დღეს, თითოეულ თქვენგანს ერთვება დაკვირვების თარიღი. ამ დღიდან ორი სამუშაო დღის ვადაში უნდა ატვირთოთ გაკვეთილის რეფლექსია. რეფლექსიის შაბლონი არ არსებობს, არც შრიფტის ზომა და გვერდების რაოდენობაა განსაზღვრული. მთავარია იყოს PDF ფორმატი, მნიშვნელობა არ აქვს დასკანერებული იქნება თუ არა, არც ხელმოწერაა აუცილებელი.**

**რეფლექსიის ატვირთვის ველი, გაკვეთილის ჩატარებიდან ორი სამუშაო დღის განმავლობაში, ყველასთან აქტიურია და, შესაბამისად, თქვენი ეკრანის ბოლოში უნდა გამოჩნდეს.**



## თბილისის საჯარო ბაღები 5 ნოემბრიდან დაიხურა

ქვეყანაში არსებული ეპიდემიოლოგიური მდგომარეობიდან გამომდინარე და სპეციალისტების რეკომენდაციის საფუძველზე, თბილისის საჯარო ბაღები მუშაობას დროებით შეაჩერებენ. ამის შესახებ დედაქალაქის მერმა, კახა კალაძემ მუნიციპალიტეტის მთავრობის სხდომაზე განაცხადა.

მისი თქმით, აღნიშნული გადაწყვეტილება უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს სხდომაზე მიიღეს.

*„ბაგა-ბაღებში სწავლა განვაახლეთ, თუმცა, ძალიან მალე, 40-მდე ბაღის დახურვა მოგვიწია. არსებული ეპიდემიოლოგიური მდგომარეობიდან გამომდინარე. საკოორდინაციო საბჭოს სხდომაზე, ამ საკითხთან დაკავშირებით, ბევრი მსჯელობა იყო. მივიღეთ გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც, საჯარო ბაღები დროებით დაიხურება, ვიდრე ეპიდემიოლოგიური მდგომარეობა არ გამოსწორდება. ჩვენ, რა თქმა უნდა, ჩვენი შვილების, მომავალი თაობების ჯანმრთელობის მდგომარეობას ვუფრთხილდებით“*, – განაცხადა კახა კალაძემ.



თბილისის მერის განცხადებით, ბაღებში სოციალური პროექტი ისევ გაგრძელდება და მშობლები აღსაზრდელებისთვის განკუთვნილ რაციონს სახლში წაიღებენ. მისივე თქმით, ყველა საჯარო ბაღი მუშაობას იქამდე შეაჩერებს, ვიდრე საკოორდინაციო საბჭოსა და ეპიდემიოლოგების მიერ სხვაგვარი რეკომენდაცია არ გაიცემა.

## ქართველი მოსწავლეების წარმატება სოციალურ ინჟინერიაში

კიბერუსაფრთხოების საერთაშორისო ოლიმპიადაზე „სამეცნიერო კიბერუსაფრთხოების ასოციაციის“ (SCSA) საკვირაო სკოლის მოსწავლეებმა პირველი ადგილი აიღეს. საქართველოს ნაკრების წევრებმა: **რეზიკო ჩალაძემ**, **გიორგი ჩარგეიშვილმა** და **გიორგი პაპავამ** ნაშრომი სოციალურ ინჟინერიაში შექმნეს, რითიც გამარჯვება მოიპოვეს.

მეექვსე საერთაშორისო სტუდენტური ოლიმპიადა ოდესის კომუნიკაციების ნაციონალური აკადემიის ორგანიზებით ჩატარდა და მონაწილეობა მიიღო 12-მა გუნდმა უკრაინიდან, საქართველოდან, ყაზახეთიდან და პოლონეთიდან. მსოფლიოში არსებული ვითარების გათვალისწინებით, ოლიმპიადა ონლაინ რეჟიმში გაიმართა.

ქართველმა მოსწავლეებმა სოციალური ინჟინერიის მიმართულებით საკმაოდ ვრცელი, 20-გვერდიანი ნაშრომი მოამზადეს, რომელიც მოიცავს თეორიულ ნაწილს სხვადასხვა ტიპის მომხმარებელზე და ორიენტირებულია კიბერთავდასხმებზე. მათ ჩაატარეს კვლევა და გააანალიზეს, თუ რა ტიპის თავდასხმები იყო უფრო პოპულარული მსოფლიოში და საქართველოში.

*„კიბერთავდასხმების უმრავლესობა, მათ შორის, ბოლო წლებში, საქართველოზე განხორციელებული თავდასხმები ზუსტად სოციალური ინჟინერიის ელემენტით იწყებოდა და შემდეგ გადადიოდა სხვა სტადიებში. კვლევის ფარგლებში, ასევე განსაზღვრეს წესები, რაც მომხმარებლებმა კიბერუსაფრთხოებისთვის უნდა დაიცვან“*, – ამბობს სამეცნიერო კიბერუსაფრთხოების ასოციაციის ტექნიკური დირექტორი **გიორგი იაშვილი.** მისი თქმით, საერთაშორისო ოლიმპიადაზე მოპოვებული გამარჯვება ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან სწორედ ამ გზით ხდება კიბერუსაფრთხოების სფეროს პოპულარიზებაც და განვითარებაც. ამის გარდა, ახალგაზრდები, მსოფლიო მასშტაბით, ჩართული არიან ისეთ აქტუალურ თემებში, რომელიც სამყაროსთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია.

საკვირაო სკოლა, რომლის მოსწავლეებმაც ოლიმპიადაზე გაიმარჯვეს, „სამეცნიერო კიბერუსაფრთხოების ასოციაციის“ ერთ-ერთი პროექტია. აქ, უკვე მესამე წელია, 12-დან 18 წლამდე ასაკის მოზარდები სწავლობენ პროგრამირების, კიბერუსაფრთხოებისა და ეთიკური ჰაკინგის საგნებს. პროექტის ფარგლებში, მათ შეიმუშავეს მექანიზმები და დაადგინეს, რატომ ხდება კიბერთავდასხმები და როგორ უნდა მოხდეს მათი პრევენცია.



# წარმატების 10-წლიანი ტრადიცია

## დაარსებიდან დღემდე




საქართველოს ბიზნესის აკადემია – SBA 2010 წლის 4 ნოემბერს დაფუძნდა, იმ ახალგაზრდა სპეციალისტთა ინიციატივით, რომლებსაც საქართველოსა და უცხოეთში წარმატებული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მრავალწლიანი გამოცდილება ჰქონდათ. აკადემიაში დაარსების დღიდან ხორციელდება მაღალი ხარისხის, თანამედროვე, შედეგებზე ორიენტირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები.

საქართველოს ბიზნესის აკადემიამ წარმატებით გაიარა ავტორიზაცია და საზოგადოებრივი კოლეჯის სტატუსი მოიპოვა. ამ დროისათვის SBA ახორციელებდა საბაჟო საქმის მიმართულების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის სტანდარტების შემუშავებაც აკადემიის ინიციატივა იყო. მომავალი წლისთვის, პარტნიორების ჩართულობით, აკადემიამ შეიმუშავა აუდიტორის ასისტენტის და ბანკის ოპერატორის პროფესიული სტანდარტები, წარმატებით მოიპოვა მათი განხორციელების უფლება და, 2013 წლიდან, ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით, მომხიბვლელი საგანმანათლებლო პროგრამები შესთავაზა საზოგადოებას.

2018 წელს აკადემიამ წარმატებით გაიარა რეავტორიზაცია საზოგადოებრი კოლეჯის სტატუსით და 6 წლის ვადით მოიპოვა თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნადი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლება როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენებზე. აღსანიშნავია, რომ პირველად, პროფესიულ სასწავლებლებს შორის, აკადემიამ 2018 წელს შესთავაზა მსურველებს დუალური პროგრამა ბუღალტრულ აღრიცხვაში.

2019 წლის16 ოქტომბერს, ქალაქ ჰელსინკში, პროფესიული უნარების ევროპული კვირის ფარგლებში, სამეწარმეო საგანმანათლებლო დაწესებულებების დაჯილდოების ცერემონია გაიმართა. სამეწარმეო სკოლის ჯილდოების ნომრისთვის, ევროპის 22 ქვეყნის 34 ინოვაციური (აკადემიური და პროფესიული) დაწესებულება შეირჩა, ეროვნულ დონეზე მათი უახლესი ხედვისა და მეწარმეობის საგანმანათლებლო პროგრამების შესანიშნავი განხორციელებისთვის. აღნიშნული ჯილდო გადაეცა საქართველოს ბიზნესის აკადემიას – SBA, როგორც საუკეთესო საგანმანათლებლო დაწესებულებას ქვეყანაში, სამეწარმეო განათლების კუთხით.

2020 წელს აკადემიამ პირველად, კერძო კოლეჯებს შორის, მსურველებს შესთავაზა ლოგისტიკის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, რაც გულისხმობს იმას, რომ სტუდენტი, პროგრამის დასრულების შემდეგ, დიპლომთან ერთად, სრული ზოგადი განათლების ატესტატს იღებს.

## SBA მისია

SBA განვითარებაზე ორიენტირებული დაწესებულებაა, რომელიც ზრუნავს სამეწარმეო, ასევე, შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი ცოდნითა და უნარებით აღჭურვილი პროფესიონალების განათლებაზე, უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე, რისთვისაც უზრუნველყოფს სიცოცხლის მანძილზე განათლების ფორმალური და არაფორმალური გზით მიღების შესაძლებლობას.

*„საგანმანათლებლო დაწესებულების წარმატების მთავარ კრიტერიუმად, ჩვენი კურსდამთავრებულების პიროვნულ და პროფესიულ წარმატებებს მივიჩნევთ და ვამაყობთ ამით. ჩვენი ერთობლივი წარმატებისათვის ოთხი მთავარი წინაპირობა არსებობს: საუკეთესო, კონკურენტუნარიანი საგანმანათლებლო პროგრამები, თანამედროვე სტანდარტების შესატყვისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, პროფესიონალი, გამოცდილი და აღიარებული მასწავლებლები და კარგი მენეჯმენტი.*

*მოხარულნი ვიქნებით, თუკი თქვენს არჩევანს ჩვენზე შეაჩერებთ. ჩვენს ცოდნასა და გამოცდილებას უშურველად მოვახმართ თქვენს პროფესიულ და პიროვნულ განვითარებას. გაატარეთ სწავლის პერიოდი ჩვენთან, გახდით SBA-ს დიდი ოჯახის წევრი და ერთად ვიზრუნოთ თქვენი, ჩვენი და ქვეყნის საერთო წარმატებისათვის“.* – ამბობს აკადემიის დირექტორი **ია ერაძე**.






## აირჩიე საქართველოს ბიზნესის აკადემია – SBA – გახდი პროფესიონალი

აკადემია, პროფესიულ პროგრამებთან ერთად, წარმატებით ახორციელებს შრომის ბაზარზე მოთხოვნად მომზადება/გადამზადების მოკლევადიან პროგრამებს.

### სადიპლომო პროფესიული პროგრამები:

1. ოფისის მენეჯერი;
2. საბაჟო საქმე (ქართულენოვანი);
3. საბაჟო საქმე (ინგლისურენოვანი);
4. სკოლამდელი განათლება;
5. საექთნო საქმე;
6. ბუღალტრული აღრიცხვა;
7. ლოგისტიკა;
8. ფარმაცია;
9. ფინანსები.

### სასერტიფიკატო მომზადება/გადამზადების მოკლევადიანი პროგრამები:

1. ელექტრონული ბუღალტერია;
2. საბაჟო დეკლარირება;
3. სალაროს ოპერაციების განხორციელება;
4. კომპიუტერის პროგრამული უზრუნველყოფა;
5. საავტომობილო სატვირთო გადაზიდვების ორგანიზება;
6. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებთან მუშაობა;
7. მმართველობითი და საინფორმაციო დოკუმენტების მომზადება;
8. საწყობის ლოგისტიკა;
9. სააღმზრდელო პროცესის წარმართვა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში.

პროგრამები ხორციელდება როგორც სახელმწიფო, ისე თვითდაფინანსებით.

## ბრენდირება და ევროპის ხარისხის ნიშანი

აკადემია დღემდე აქტიურად მონაწილეობს, პროფესიული განათლების რეფორმის ფარგლებში, მოდულური პროფესიული სტანდარტებისა და ჩარჩო პროგრამების შემუშავებაში, დანერგვასა და სრულყოფაში. აკადემიის პერსონალის მიერ შემუშავებულია არაერთი საგანმანათლებლო რესურსი, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების წაარმატებით განხორციელებისათვის.

SBA თანამშრომლობს არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან – ევროპული ტრენინგების ფონდი (ETF), ასოციაცია „People for people“, ინტეგრირების საგანმანათლებლო ქსელი (Integrity Action); საქართველოს ბიზნესის აკადემია, 2011 წლიდან, საბაჟო უნივერსიტეტების საერთაშორისო ქსელის (INCU) წევრია, 2014 წელს მიენიჭა EFQM (European Foundation for Quality Managment) ხარისხის მართვის ევროპული ფონდის ნიშანი.

SBA მონაწილეობს საქართველოს კერძო კოლეჯების მიერ



ორგანიზებულ ბრენდირების პროცესში და ორგზის ბრენდირების 5-დან 5 ვარსკვლავის მფლობელია.

## SBA – თქვენი საუკეთესო არჩევანი




2027 წლისათვის SBA აკადემია იქნება დაწესებულება, რომელიც საზოგადოებას მაღალი ხარისხის საგანმანათლებლო და სხვა სახის სერვისებს გაუწევს, საკუთარი სამეწარმეო იდეების რეალიზებაში, ბიზნესის განვითარებასა და ოპერირებაში დასახმარებლად. ამ მიზნით, მისი საქმიანობის ძირითადი მიმართულებები იქნება:

✔ საბაზო და ზოგადი განათლების მქონე პირებისათვის მაღალი ხარისხის, მათ შორის უცხოელ პარტნიორ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ერთობლივად განხორციელებული საკვალიფიკაციო პროგრამების შეთავაზება;

✔ სამუშაოს მაძიებლებისა და დასაქმებულთათვის მაღალი ხარისხის მომზადების, გადამზადების, სტაჟირების პროგრამების შეთავაზება საქართველოში და საზღვარგარეთ;

✔ მოქმედი ბიზნესისა და მეწარმეებისათვის საკონსულტაციო, კვლევებისა და დაგეგმვის სერვისების შეთავაზება, მათ შორის საქმიანობის ინტერნაციონალიზაციის კუთხით;

✔ ბიზნესისათვის სხვადასხვა სახის პროგრამული უზრუნველყოფის შეთავაზება ან/და აუთსორსული მომსახურება, მათი საქმიანობის ცალკეულ ფუნქციონალურ სფეროებში.

აკადემია, დაარსებიდან დღემდე, განვითარებისა და პროფესიული წინსვლისაკენ ისწრაფვის, სტუდენტებსა და მასწავლებლებს სთავაზობს არა მარტო მომხიბვლელ აკადემიურ გარემოს, არამედ სასწავლო პროცესის პარალელურად – კულტურულ, გასართობ და ინტელექტუალურ ღონისძიებებს. საქართველოს ბიზნესის აკადემიას არაერთი საერთაშორისო პარტნიორი ჰყავს და ახორციელებს გაცვლით პროგრამებს.




***„ახალი განათლების“ რედაქცია ულოცავს საქართველოს ბიზნესის აკადემიას 10 წლის იუბილეს.***

მოამზადა **მაკა ყიფიანმა**

# მიიღე ხარისხიანი განათლება

თვალსაზრისი

# განათლების სისტემის აქტუალური პრობლემები



**ირმა ბრიგალაშვილი**
*ფილოლოგი, თბილისის 214-ე საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი*

*„ტყუილი ჩივილია, ტყუილი ტირილია უფულობისა, უქონლობისა. უნდა ვტიროდეთ და ვჩიოდეთ უცოდინარობას, უვიცობას, იმიტომ რომ სათავე და მიზეზთა-მიზეზი ყოველ უბედურობისა ეგ უვიცობა, ეგ ცოდნის უქონლობაა.“*

ილია

„ცოდნა ძალაა“ – ფრენსის ბეკონის ამ ცნობილ გამონათქვამს, ალბათ, ყველა დავეთანხმებოდით, განსაკუთრებით კი ახალი დროის ადამიანები. დღესდღეობით, თითქმის ყოველი ერის, ხალხის, უმთავრეს მიზანს წარმოადგენს ცოდნისა და განათლების საყოველთაო ხელმისაწვდომობაზე ზრუნვა. ყოველი სახელმწიფო აცნობიერებს იმას, რომ ახალგაზრდებისათვის ჯეროვანი განათლების მიცემა ქვეყნის წინსვლისა და განვითარების, კეთილდღეობის საწინდარია. მათ შორის უკანასკნელნი არც ჩვენ ვართ. ყველასათვის ცნობილია, რომ დამოუკიდებლობის პირველი ათი წელიწადი ყოველმხრივ მძიმე იყო ქვეყნისათვის და გასაგებია, რომ საკმაოდ რთული იქნებოდა, შიმშილის, სიცივისა და სიბნელის ფონზე, ახალგაზრდების განათლებაზე სათანადოდ ეზრუნათ. გაყინული ან ღუმლის კვამლით გავსებული საკლასო ოთახები, ყავლგასული სახელმძღვანელოები თუ სხვა სასკოლო ნივთები, უნივერსიტეტის დერეფნებში კანტიკუნტად მოარული შეშინებული სტუდენტები, დაგვიანებული ან სულაც ჩაურიცხავი ხელფასები... ეს მხოლოდ მცირე ჩამონათვალია იმ სურათებისა, რომელთაც იხსენებენ ხოლმე უფროსი თაობის პედაგოგები და პროფესორ-მასწავლებლები იმ მძიმე წლების აღსაწერად.

ავად თუ კარგად, იმ ავბედითმა ჟამმა გაიარა და განათლების სფეროში რეფორმების პერიოდიც დადგა: დროთა განმავლობაში, შეიქმნა და დაიხვეწა სასკოლო სახელმძღვანელოები, შედგა ეროვნული სასწავლო გეგმა, დეტალურად გაიწერა ყოველი ახალი წლის ბოლოს მისაღწევი შედეგები თითოეული საგნისათვის, ჩატარდა მასწავლებელთა პროფესიული კვალიფიკაციის ასამაღლებელი არაერთი ტრენინგი...

თავისთავად რეფორმები და ცვლილებები მისასალმებელია, დანამდვილებით შეიძლება მტკიცება იმისა, რომ ჩვენი განათლების სისტემა თანდათანობით იხვეწება და ვითარდება, თუმცა საზრუნავი ჯერ კვლავ ბევრია. სამწუხაროდ ჩვენდა, ხშირად, დიდი ხნის განმავლობაში უყურადღებოდ გვრჩება ის ხარვეზები და პრობლემები, რომელთაც განათლების სფეროს სრულყოფისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს. თქმულის ნათელსაყოფად კატის გამოცდებიც გამოდგება. ამ გამოცდებმა, რომლითაც რეალურად ფაქტობრივი მასალის დაზუთხვის დონე მოწმდებოდა და არა კრიტიკული აზროვნებისა, რვა წლის განმავლობაში იარსება. ამ წლებში კი, თითქმის საერთოდ არ გაუმჯობესებულა მოსწავლეთა აკადემიური მოსწრებისა თუ ზოგადი განათლების დონე. კატის გამოცდებმა შედეგად მხოლოდ ის მოგვცა, რომ უფრო მეტად გაძლიერდა რეპეტიტორობის ინსტიტუტი (რომელიც ასევე ერთ-ერთი დაუძლეველი პრობლემა და მნიშვნელოვანი გამოწვევაა ჩვენი თანამედროვე საჯარო სკოლის ცხოვრებაში).

ვფიქრობ, განათლების სფეროში არსებული პრობლემების დროულად გამომზეურება, მათ გადაწყვეტაზე ფიქრი და მსჯელობა, გამოსავლის ოპერატიულად მოძებნა, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნის უკეთესი მომავლისათვის. ამჯერადაც, ამ მხრივ, მნიშვნელოვანი საკითხები მინდა გახდეს განსჯის საგანი.

ჩვენი საზოგადოებისათვის ცნობილია, რომ დიდი ხანია არსებობს მასწავლებელთა კომპეტენციის დადასტურებისა და პროფესიული უნარების გადამამოწმებელი გამოცდები. უსიამოვნო, თუმცა რეალური ფაქტია, რომ ამ გამოცდებს ბევრი არაფერი შეუცვლია მასწავლებელთა პროფესიული დონის ამაღლების მხრივ. გამოცდების ჩატარებაზე, საგამოცდო ტესტების შედგენასა და დამზადებაზე, მათ შემოწმებაზე კი, ყოველწლიურად, საკმაოდ დიდი დრო, ენერგია და ფინანსური სახსარი იხარჯება (ფაქტია ისიც, რომ, როგორც უწინ კატის გამოცდებმა, მასწავლებელთა გამოცდებმაც მნიშვნელოვნად გააძლიერა რეპეტიტორობის ინსტიტუტი. ერთგვარი პარადოქსიც კია ის, რომ მასწავლებელს მომზადება სჭირდება იმ საგანში, რომელსაც ასწავლის).

ჩნდება ლოგიკური შეკითხვა: ხომ არ არის მასწავლებელთა გამოცდები ფუჭი ხარჯვა მატერიალური თუ ადამიანური რესურსებისა? – დიახ, არის! – ვუპასუხებთ არსებული რეალობიდან გამომდინარე.

მოსაზრების საარგუმენტაციოდ კი, პირველ რიგში, იმას გაგახსენებთ, რომ არსებული გამოცდები, რეალურად, დამწყები მასწავლებლისათვის წარმოადგენს ბარიერს, ხოლო მოქმედი მასწავლებლებისათვის – არა. თუკი დამწყებ მასწავლებელს საგნობრივი კომპეტენციის დამადასტურებელი გამოცდის ჩაბარება 10 კრედიტზე მოეთხოვება, მოქმედი მასწავლებლისათვის ბარიერი 1 კრედიტია. 1 კრედიტის მისაღებად საჭირო ქულა კი სასაცილოდ ცოტაა იმისათვის, რომ მასწავლებელი თავის საგანში კომპეტენტურად მივიჩნიოთ. ფაქტები ცხადყოფს, რომ ყოველწლიურად ასეულობით მასწავლებელი იჭრება ამ გამოცდებში, ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი ვერ იღებენ 1 კრედიტისათვის საჭირო ქულასაც კი. სიტუაციას ისიც ამძიმებს, რომ მცდელობათა ლიმიტი შეზღუდული არ არის. **არსებული მიდგომა ცალსახად უსამართლოა ახალბედა მასწავლებლების მიმართ და საგრძნობლად უთანასწორო კონკურენციაა ახალკურსდამთავრებულსა და ე.წ. სტაჟიან კადრებს შორის.** რას ვიღებთ შედეგად? – იმას, რომ ახალბედა, ენთუზიაზმით აღსავსე და საქმის სიყვარულით გულანთებული ადამიანები საჯარო სკოლის გარეთ რჩებიან; ადამიანები, რომელთაც შეუძლიათ უკეთესობისკენ შეცვალონ სწავლა-სწავლების სფეროში არსებული სიტუაცია, გამოასწორონ წინამორბედთა შეცდომები.

როგორც უკვე აღვნიშნე, საგნობრივი კომპეტენციის დამადასტურებელი გამოცდა რეალურად მხოლოდ ახალბედა მასწავლებლისთვისაა ერთგვარი ბარიერი, მიუხედავად იმისა, რომ 10 კრედიტის მისაღებად საჭირო ქულაც არც ისე მაღალია. ერთი შეხედვით, ახალბედა მასწავლებელთან მიმართებით, პრობლემა არ არსებობს და გამოცდა საჭიროა, სკოლა უნდა დარწმუნდეს, რომ მას სათანადო ცოდნისა და კომპეტენციის მქონე კადრი აჰყავს სამსახურში, თუმცა ამ ნაწილშიც ჩნდება შეკითხვა: **რა ძალა აქვს ბაკალავრის დიპლომს? მაგისტრის აკადემიურ ხარისხს? – პასუხია, თითქმის არანაირი!** საგნობრივი კომპეტენციის დამადასტურებელი გამოცდა, ამ შემთხვევაში, სხვა არაფერია, თუ არა უნდობლობის გამოცხადება უნივესიტეტების მიმართ. კვლავაც ჩვენდა სამწუხაროდ, ეს უნდობლობა არსებულმა რეალობამ წარმოშვა. საკმაოდ ხშირად უნივესიტეტებიდან, დიპლომით ხელში, იმდენად სუსტი კადრები გამოდიან, რომ მათი ცოდნის დონე მართლაც საჭიროებს ერთგვარ გადამოწმებას. აღნიშნული პრობლემაც დაფიქრებას მოითხოვს, **საჭიროა კი ამდენი აკადემიური ხარისხის მქონე კადრი? ხომ არაა დრო, უფრო აქტიურად გავუწიოთ პოპულარიზაცია ახალგაზრდებში პროფესიულ განათლებას?**

იმისათვის, რომ მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდები აღარ წარმოადგენდეს დროის, ენერგიისა და ფინანსების ფუჭ ხარჯვას, **საჭიროა საგამოცდო ბარიერის აწევა** ყველა ჩამბარებლისთვის, ხოლო მოქმედი მასწავლებლებისთვის – **გამოცდაზე გასვლის მცდელობათა ლიმიტირება**. ვფიქრობ, მხოლოდ ამ გზით მივაღწევთ იმას, რომ სკოლაში სათანადო ცოდნისა და კომპეტენციის მქონე მასწავლებლები მუშაობდნენ. დროთა განმავლობაში კი, თუკი უნივერსიტეტებიც უფრო მაღალკვალიფიციურ კადრებს შემოგვთავაზებენ (რისთვისაც ასევე ბევრი რამაა გასაკეთებელი და უმაღლეს სასწავლებლებში არსებული პრობლემებიც გადასახედი), მივაღწევთ იმასაც, რომ მასწავლებელთა კომპეტენციის დადასტურების გამოცდის ჩატარება ასე ფართო მასშტაბით საჭირო აღარ იქნება.

ვფიქრობ, ცალკე მსჯელობის საგანი უნდა გახდეს ისიც, რომ საგნობრივი კომპეტენციის დადასტურება კარგ მასწავლებლობას ჯერ კიდევ არ ნიშნავს. ამა თუ იმ საგნის სწავლების მეთოდიკისა და პედაგოგიკის საფუძვლების ცოდნის გარეშე, დამეთანხმებით, რთულია მასწავლებელს პროფესიონალი ვუწოდოთ. რა მდგომარეობაა, ამ მხრივ, ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებში? ამზადებენ ისინი სრულფასოვან მასწავლებლებს? – არა, სამწუხაროდ ჩვენდა!

ჰუმანიტარულ, ასევე, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტებზე ჩამბარებელ სტუდენტთა უდიდესი ნაწილის სურვილი იმთავითვე არის მასწავლებლობა, პედაგოგობა (ამას არაერთი გამოკითხვა დაგიდასტურებთ), მაგრამ უნივერსიტეტის დამთავრების შემდგომ მათი აბსოლუტური უმრავლესობის დიპლომში წერია: „პროფესიული სტატუსი – შესაბამისი ინფორმაცია არ არსებობს“ . ამ დროს კი, სკოლაში მუშაობის დასაწყებად, ერთ-ერთი უმთავრესი მოთხოვნაა, რომ აპლიკანტს დიპლომში ეწეროს: პროფესიული სტატუსი – მასწავლებელი. უმაღლეს სასწავლებლებში საბაკალავრო პროგრამათა აღწერაში, კერძოდ, დასაქმების სფეროს შესახებ მოცემულ ინფორმაციაში, ყოველთვის ეწერა, რომ ბაკალავრის დიპლომით სამსახურის დაწყება შესაძლებელია საგანმანათლებლო დაწესებულებებში, მათ შორის საჯარო სკოლაში. ფაქტია, რომ, ვინც უნივერსიტეტი ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში დაამთავრა, მათთვის ეს ასე არაა. რეალობასთან ამგვარი შეუსაბამობა, სავარაუდოდ, უნივერსიტეტებმაც გააცნობიერეს და რიგ საბაკალავრო პროგრამათა აღწერაში დაზუსტდა შემდეგი: კურსდამთავრებულს პედაგოგიურ სექტორში დასაქმება შეუძლია მხოლოდ პედაგოგიკის დამატებითი პროგრამის გავლისა და მასწავლებლის სასერტიფიკატო გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში. ამ ინფორმაციის დაზუსტება მისასალმებელია, მაგრამ შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალს ნამდვილად არ წარმოადგენს.

ერთი შეხედვით, პრობლემა გადაჭრილად მოგვეჩვენება, თუ გავიხსენებთ, რომ ბოლო დროს ზოგიერთი უნივერსიტეტი სტუდენტებს თავად სთავაზობს პედაგოგიკის პროგრამას „მაინორი სპეციალობისთვის“, ხოლო, მეორე მხრივ, უკვე მეოთხე წელია არსებობს მასწავლებელთა მოზადების 60-კრედიტიანი პროგრამა, თუმცა საქმე ასე მარტივად არაა შემდეგი მიზეზების გამო:

1. უმაღლესი სასწავლებლები პირველკურსელებს სათანადოდ არ განუმარტავენ, რომ მათ, პედაგოგობის სურვილის შემთხვევაში, უნდა აირჩიონ შესაბამისი პროგრამა. ახალი თაობის არაერთი სტუდენტი დამეთანხმება, რომ ეს ასეა. მათმა აბსოლუტურმა უმრავლესობამ პედაგოგიკის პროგრამის არსებობის შესახებ მხოლოდ მას შემდეგ შეიტყო, როდესაც ზემოხსენებული გაუგებრობის წინაშე აღმოჩნდა. გამოდის, უამრავმა კურსდამთავრებულმა დაკარგა შანსი, რომ მათ დიპლომებში სასურველი პროფესიული სტატუსი ასახულიყო და დამატებითი ძალისხმევა არ დასჭირვებოდათ. აღნიშნული ხარვეზი სასწრაფოდ საჭიროებს უნივერსიტეტების მხრიდან რეაგირებას.

2. ბოლო წლებში, მასწავლებელთა მომზადების 60-კრედიტიან პროგრამაზე (მთელ რიგ საგნობრივ ჯგუფებზე) ჩამბარებლებს შორის, იმდენად გაიზარდა კონკურენცია, რომ არაერთი მსურველი დარჩა ხელმოცარული, რაც, რასაკვირველია, დიდი უსამართლობაა ახალკურსდამთავრებულთა მიმართ. ვფიქრობ, მასწავლებლის 60-კრედიტიანი პროგრამის დაფუძნება შექმნილი სიტუაციიდან ოპტიმალური გამოსავალია, მაგრამ აუცილებელია, უნივერსიტეტებმა გაზარდონ ადგილების რაოდენობა მანამ, სანამ ჯერ კიდევ ბევრია მასწავლებლობის მსურველი და ამ სტატუსის გარეშე დარჩენილი ბაკალავრი.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, თავის მხრივ, მასწავლებელთა მომზადების 60-კრედიტიან პროგრამასაც უამრავი ნაკლი და ხარვეზი აქვს. სიტყვა რომ არ გაგვიგრძელდეს, მოკლედ მოგახსენებთ ყველაზე უფრო მნიშვნელოვანს:

- ენობრივად გაუმართავი, შეიძლება ითქვას, „აბსურდული ქართულით“ ნათარგმნი სახელმძღვანელოები, განსაკუთრებით კი, ფსიქოლოგიის შემსწავლელ კურსებში. ამგვარი სახელმძღვანელოები მიუღებელია არა მხოლოდ ქართული ენის სიწმინდის დაცვისათვის, არამედ პრაქტიკული თვალსაზრისითაც, მათი საშუალებით ცოდნის შეძენა, დამერწმუნეთ, შეუძლებელია.
- პედაგოგები, რომელთაც არანაირი შეხება აღარ აქვთ (ზოგს, ალბათ, არც არასდროს ჰქონია) სასკოლო ცხოვრებასთან. ვფიქრობ, ალოგიკურია, მასწავლებლობისთვის საჭირო ცოდნა და გამოცდილება გაგიზიაროს იმ ადამიანმა, რომელსაც არასოდეს უმუშავია სკოლის მოსწავლეებთან, საერთოდ არ იცის მათი ხასიათი, საჭიროებები, სოციალური მდგომარეობა და ოდნავადაც არ იცნობს თანამედროვე ქართულ საჯარო სკოლას.

ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ თქმული არ ეხება რომელიმე კონკრეტულ უნივერსიტეტში არსებულ სიტუაციას, ეს არის ზოგადი სურათის ნაწილი. იმისათვის, რომ მასწავლებელთა მომზადების 60-კრედიტიანი პროგრამის დაფინანსება არ იყოს ფუჭად გაწეული ხარჯი სახელმწიფოს მხრიდან, საჭიროა დაუყოვნებლივი მცდელობა ამ მნიშვნელოვან ხარვეზთა აღმოსაფხვრელად. ყველა ვთანხმდებით, რომ მხოლოდ პროფესიონალი და პროგრესულად მოაზროვნე მასწავლებლები ზრდიან თანამედროვე ღირებულებების ერთგულ, საქმისათვის თავდადებულ თაობებს. ხოლო იმისათვის, რომ ამოვძირკვოთ „სათავე და მიზეზთა-მიზეზი ყოველ უბედურობისა... უვიცობა“, საჭიროა, ერთი წამით არ მოდუნდეს ყურადღება განათლების სფეროში არსებული პრობლემების მიმართ.

***✓ არსებული მიდგომა ცალსახად უსამართლოა ახალბედა მასწავლებლების მიმართ და საგრძნობლად უთანასწორო კონკურენციაა ახალკურსდამთავრებულსა და ე.წ. სტაჟიან კადრებს შორის.***

***✓ საჭიროა კი ამდენი აკადემიური ხარისხის მქონე კადრი? ხომ არაა დრო, უფრო აქტიურად გავუწიოთ პოპულარიზაცია ახალგაზრდებში პროფესიულ განათლებას?***

სტუმარი



# სამყარო ყოველთვის კარგია, რაკილა ყოველთვის შეიძლება უარესი იყოს

*ნომრის სტუმარია ახალგაზრდა მწერალი ბექა ადამაშვილი, რომელსაც ლიტერატურულ წრეებში „სიტყვის მოთამაშე ოსტატად“ მოიხსენიებენ. მის შემოქმედებით ბიოგრაფიაში გარდამტეხი როლი ითამაშა, გასულ წელს, ევროკავშირის ლიტერატურულმა პრიზმა რომანისთვის „ამ რომანში ყველა კვდება“ და ის გახდა პირველი ქართველი, რომელმაც ეს პრიზი მიიღო. რომანი 2018 წელს გამოიცა. მის მთავარ გმირს, მემენტო მორის, მოგზაურობის საოცარი უნარი აქვს, მას შეუძლია წიგნის გმირები სიკვდილისგან იხსნას. თუმცა, მთავარი პერსონაჟი, მას შემდეგ ყველაფერს ცვლის, როცა შეიტყობს, რომ რომანის ავტორი ნაწარმოებში ვიღაცის მოკვლას აპირებს. მისთვის გამოსავალი ხდება პერსონაჟების პოსტმოდერნიზმიდან უსაფრთხო ეპოქებში გადახვეწა და ცნობილ ნაწარმოებებში მოგზაურობას იწყებს. ევროკავშირის ლიტერატურული პრიზის ჟიური ახალგაზრდა მწერლის შესახებ წერს, რომ „მსოფლიო ლიტერატურის სიღრმისეული ცოდნა და იუმორის შესანიშნავი გრძნობა შერწყმულია მარკეტინგისა და რეკლამის უნარებთან, რაც ბექა ადამაშვილის შემოქმედებას განსაკუთრებულად სახალისოს ხდის“.*

*ამ აღიარებამდე კი, მისი მოთხრობები იბეჭდებოდა სხვადასხვა პერიოდულ გამოცემაში, ერთ-ერთი მოთხრობა – „წვიმის წვეთი“ ქიმიის სასკოლო სახელმძღვანელოშიც კი შევიდა. მისი სატირულ-იუმორისტული სტატიები ცხოვრებისეულ და სოციალურ თემებზე, რომელსაც საკუთარ ბლოგზე აქვეყნებდა, ახალგაზრდებში დიდი პოპულარობით სარგებლობს და, როგორც ბლოგერი, არაერთი კონკურსის გამარჯვებულიც ხდება. 2013 წელს ბექა ადამაშვილი „შემოდგომის ლეგენდის“ ლიტერატურულ კონკურსში იმარჯვებს მოთხრობით „XXVIII: წერტილი“. ერთი წლის შემდეგ კი, ქართული ლიტერატურული საზოგადოების ყურადღებას იქცევს რომანით „ბესტსელერი“. ახალბედა მწერალი „საბას“ და „წინანდლის პრემიის“ შორტლისტში ხვდება რომანით, რომელიც „სატირულ-პაროდიულ-დეტექტიურ-თავსატეხ-ფენტეზ-ფანტაზ-დაკიდევრაცგამოგვრჩა ჟანრის ლიტერატურაზე, ლიტერატურულ კლიშეებზე, ცნობილ მწერლებზე, არანაკლებ ცნობილ პერსონაჟებსა და ყველაფერ იმაზეა, რაც წიგნებში სასიამოვნო ემოციებს გიშლით, ან უბრალოდ – ნერვებს.“*

**– ბექა, ჩვენი ინტერვიუ პროფესიაზე საუბრით მინდა დავიწყოთ, რადგან თქვენ შესახებ ინფორმაციის მოპოვებისას შემხვდა თქვენი ფრაზები: არშემდგარი ჟურნალისტი – ცრუფსიქოლოგი – პოტენციური ლიტერატურათმცოდნე (სტატუსი არ ასახავს რეალობას). ბექა, ვინ ხართ პროფესიით და რატომ არ შედგა თქვენი, როგორც ჟურნალისტის, ფსიქოლოგის და ა.შ. კარიერა?**

– მიჭირს ხოლმე საკუთარი პროფესიის ზუსტად შეფასება. დიპლომის მიხედვით ჟურნალისტი ვარ, თუმცა ამ პროფესიით, ფაქტობრივად, არასოდეს მიმუშავია. „აკადემიური ბედი“ ვცადე ასევე ფსიქოლოგიისა და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის მაგისტრატურის კუთხით და სამ-სამი სემესტრიც მოვილიე, თუმცა დიპლომებისადმი ლტოლვის დეფიციტის გამო, სამაგისტრო ნაშრომი აღარ დამიწერია. შესაბამისად, მივიღე გარკვეული ცოდნა, რომელიც ფურცლით არ არის გამყარებული ან რომელსაც ვერ ვიყენებ ყოველდღიურ საქმიანობაში და მიწევს, რომ საკუთარ თავს მსგავსი სტატუსები მივანიჭო.

ახლანდელი ყოველდღიური საქმიანობა - კრეატიული დირექტორობა – სარეკლამო სფეროს უკავშირდება. თუ ძირისძირობამდე ჩავყვებით ამ ამბავს, ალბათ, ჟურნალისტიკასთანაც დავინახავთ მცირე კავშირს, ფსიქოლოგიასთანაც და შესაძლოა, ლიტერატურათმცოდნეობასთანაც კი, მაგრამ სარეკლამო სფეროზე მეტად, ყველა ჩემს წარსულ, ახლანდელ თუ მომავალ საქმიანობას, წერის სიყვარული აერთიანებს.

**– თქვენი გამოხატვის საუკეთესო საშუალება წერაა, მეტიც, ხშირად მოგიხსენიებენ „სიტყვების მოთამაშე ოსტატად“. პირველ რიგში, თქვენ თვითონ როგორ აფასებთ თქვენს ნაწერებს?**

– მგონია, რომ ნაწერების ერთ-ერთი ყველაზე კარგი შემფასებელი საკუთარივე თავია, ოღონდ გარკვეული დროითი ინტერვალის შემდეგ. თუკი აღმოაჩენ, რომ რამდენიმე წლის ან თუნდაც თვის შემდეგ ისევე მოგწონს ყველაფერი საკუთარ ნაწერში, როგორც საბოლოო დარედაქტირების შემდეგ, ე.ი., ან მაგნუმ ოპუსი შექმენი, ან რაღაცას არასწორად აკეთებ. როგორც წესი, მეორე შემთხვევა უფრო ხშირია ხოლმე. ისე კი, საკუთარი ნაწერების შეფასება საჯაროდ მაინცდამაინც არ მიყვარს.

**– რა დაწერეთ პირველად?**

– თავიდან წიგნებზე წერით დავიწყე. მიზეზი ან ფურცლის დეფიციტი იყო, ან იმ შეგონების, რომ წიგნის ფურცლებზე წერა, მთლად კარგი საქციელი არ არის. წიგნების ნაწილის მაინც, ყოველ შემთხვევაში. პირველ „შემდგარ მოთხრობად“ კი (სადაც „წ“-ებისა და „შ“-ების, „ძ“-ებისა და „ხ“-ების ურთიერთარეულობაში, რაღაც აზრის გამოტანა შეიძლებოდა), ოჯახური მატიანე ცნობს ოთხმოცდაათიანი წლების შუაგულში დაწერილ მოთხრობას ოქროების გადმომყრელ იხვზე, რომელსაც საბოლოოდ დიდი ქალაქი აუშენეს და ისე მოეწონა შიგნით, რომ იმის მერე გარეთ გამოსული აღარავის უნახავს. ამ ამბის მორალი კი ის იყო, რომ სწორედ ამიტომ, საქართველოში, ფული აღარ არის და ხალხი მათხოვრობს.

**– ნაწარმოები, რომელმაც ყველაზე დიდი აღიარება მოგიტანათ, ალბათ, მაინც ევროკავშირის ლიტერატურული პრემიის მფლობელი წიგნია სათაურით „ამ რომანში ყველა კვდება“ („ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“). რატომ კვდება რომანში ყველა და რას ამბობთ ამ ნაწარმოებით?**

– თავიდანვე მინდოდა, რომ სათაური სპოილერი ყოფილიყო, ანუ, დამესწრო ყველა იმ პოტენციური მკითხველისთვის, ვისაც, მათდაუნებურად, უყვარს ხოლმე სხვების დასპოილერება. თუმცა, მერე მივხვდი, რომ ამ სათაურის არსი იმის გაცხადებაა, რომ მოცემულ რომანში ფორმა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე შინაარსი, ანუ, „როგორ მოხდა“ აღემატება „რა მოხდა“-ს და უფრო საინტერესო იქნება მათთვის, ვისაც ლიტერატურული ფორმების ძიებაში მეგზურობა უყვარს. რაც შეეხება რომანის სათქმელს, არ მგონია, ერთი ან რამდენიმე კონკრეტული სათქმელი ჰქონდეს. წიგნებში ჩადებული სათქმელის ამოცნობა მკითხველის პრეროგატივა უფროა და, ხშირ შემთხვევაში, ეს ავტორზე უკეთაც კი გამოსდით.

**– რა გავლენა იქონია თქვენზე ამ კონკურსმა და რას ფიქრობთ, რატომ გამოგარჩიათ ჟიურიმ?**

– ევროკავშირის ლიტერატურული პრიზი ყოველწლიურად გაიცემა ევროპის არაერთ ქვეყანაში, ანუ თითო ქვეყანას ჰყავს თითო ლაურეატი, რომელსაც ამავე ქვეყნის სპეციალური ჟიური ირჩევს. საქართველო, 2019 წელს, პირველად ჩაერთო ამ კონკურსში და მიხარია, რომ საჭირო დროს და საჭირო ადგილას აღმოვჩნდი. მიზეზი, თუ რატომ გავხდი ჟიურის რჩეული მაინცდამაინც მე, არ ვიცი. როგორც წესი, ამაზე პასუხი უფრო ჟურის წევრებს აქვთ ხოლმე. თუმცა, სტილი და თემატიკის საყოველთაოობა, შეიძლება, ამის ერთ-ერთი მიზეზი იყოს. რაც შეეხება გავლენას, ფულადი პრიზისა და თავდაჯერების მატების გარდა, საშუალება მეძლევა, რომ არაერთ საერთაშორისო ლიტერატურულ ღონისძიებაში ჩავერთო და ასევე, წიგნის გამოცემაზე უფლებები უკვე ხუთ სხვადასხვა ქვეყნის გამომცემლობას აქვს ნაყიდი.

**– „ბესტსელერი“ – რეალურად ქართველმა მკითხველმა ამ რომანით გაგიცნოთ. მოდი, „ბესტსელერზე“ ვისაუბროთ და ამ ნაწარმოების სიუჟეტს გავყვეთ... როგორ მოუწყვეთ მწერლებს ჯოჯოხეთი და მკითხველს – სამოთხე?**

**რომანის ანოტაციას მოვიშველიებ:**

*„წარმოიდგინეთ ლიტერატურული ჯოჯოხეთი... ადგილი, სადაც მწერლები ისევე იტანჯებიან, როგორც მათი წიგნები ტანჯავდნენ მკითხველებს; სადაც დიდი ძმის ტელევიზიას („BBC – Big Brother's Channel“) ორუელი განაგებს და შექსპირის სასტუმროს („ჰოტელო“) – იორიკის თავის ქალა; სადაც ეგზიუპერი ანონიმ თვითმკვლელთა კლუბის გამორჩეული წევრია; სადაც მთელი გარემო ლიტერატურული ატმოსფეროთია გაჟღენთილი და სადაც... თუმცა, ყველაფერს ანოტაციაში ვერ მოვყვები. სხვა დანარჩენისთვის არსებობს „ბესტსელერი" – სატირულ-პაროდიულ-დეტექტიურ-თავსატეხ-ფენტეზ-ფანტაზ-დაკიდევრაცგამოგვრჩა ჟანრის რომანი ლიტერატურაზე, ლიტერატურულ კლიშეებზე, ცნობილ მწერლებზე, არანაკლებ ცნობილ პერსონაჟებზე, და ყველაფერ იმაზე, რაც წიგნებში სასიამოვნო ემოციებს გიშლით, ან უბრალოდ – ნერვებს. სხვა სიტყვებით, ეს არის წიგნი ადგილზე, რომელიც მწერლებისათვის ჯოჯოხეთია, მაგრამ მკითხველებისათვის ნამდვილი სამოთხე უნდა აღმოჩნდეს. და კიდევ უფრო სხვა სიტყვებით, ეს არის წიგნი, რომელიც თავს თუ არა, დროს ნამდვილად არ დაგაკარგვინებთ.“*

– ალბათ, არ არსებობს ერთი მკითხველი მაინც, რომელიც რომელიმე წიგნს არ დაუტანჯავს და არც ისეთი მკითხველი იარსებებს, რომელიც კითხვისას კლიშეებს არ გადასწყდომია. ბესტსელერში ვეცადე, ეს ორი ამბავი გამეერთიანებინა და მსოფლიო ლიტერატურისთვის უკვე კარგად ნაცნობი ადამიანების გაპერსონაჟებით ისეთი სამყარო შემექმნა, რომელიც როგორც ქართველი, ისე უცხოელი პოტენციური მკითხველისთვის ერთნაირად ახლობელი იქნებოდა... ამიტომ, მთელი ჩემი ბავშვობის და თინეიჯერობის ლიტერატურულ წუხილებს თვალი გადავავლე, ერთად შევკრიბე და უბრალოდ რომანის ფორმა მივეცი.

**– ყოველი მომდევნო ნაწარმოების გამოჩენისას, მკითხველი მწერლისგან მეტს ითხოვს, ყოველ შემთხვევაში იმაზე ნაკლებს არა, რაც წინა ნაწარმოებმა შექმნა. როგორ ფიქრობთ, ამართლებთ მკითხველის მოლოდინს ყოველ შემდეგ რომანში?**

– როდესაც „ამ რომანში ყველა კვდება“ სტამბისკენ მიმავალ გზას დაადგა, მტკიცედ მწამდა, რომ ბევრად უკეთესი იყო, ვიდრე „ბესტსელერი“. შემდგომმა გამოხმაურებამ „მტკიცედ“-საც, „მწამდა“-საც და „ბევრად“-საც სიმყარე, რწმენა და ოდენობა გამოაცალა. ახლა უბრალოდ მგონია, რომ უკეთესია, ვიდრე „ბესტსელერი“. შეიძლება, ცოტა ხანში ეგეც გადავიფიქრო, მაგრამ მგონია, რომ მოლოდინების გაცრუებაში ავტორიცა და მკითხველიც თანაბრად არიან დამნაშავეები. ერთი იმიტომ, რომ იმაზე მეტის მოლოდინი შექმნა, ვიდრე შესრულება შეეძლო და მეორე იმიტომ, რომ იმაზე მეტი შესაძლებლობები მიაწერა ავტორს, ვიდრე რეალურად ჰქონდა.

**– ბექა, თქვენი ნაწარმოებები გერმანულ და ინგლისურ ენებზე ითარგმნება. თქვენი სიტყვების თამაში როგორ არის გადატანილი თარგმანებში?**

– ენებში ჯერჯერობით გამიმართლა. ზუსტად ის ორი ენა შემხვდა, რომელიც ათასობით სხვა ენასა და დიალექტზე ოდნავ უკეთ ვიცი, ამიტომაც მეც ვარ ხოლმე ჩართული თარგმნის პროცესში და მთარგმნელთან ერთად ვცდილობ სიტყვათა ეს თამაშები ენის ან ერის კონტექსტებს მოვარგო. არის შემთხვევები, როცა ნათარგმნი ბევრად უკეთესი გამოდის, ვიდრე ორიგინალი, რადგან მთარგმნელის ფაქტორის გარდა, შენც უფრო გაზრდილი ხარ და რაღაცებს აუმჯობესებ. ამასთან, უფრო მეტ დროს უთმობ მცირე მონაკვეთების სხვა ენაზე მორგებასაც, მაშინ როცა წერისას ასე ჩასაკირკიტებლად ნაკლები დროა ხოლმე.

**– ძალიან მინდა ჩვენი გაზეთის ახალგაზრდა მკითხველზე მოვახდინოთ შთაბეჭდილება და ვისაუბროთ იმ თემებზე, იმ წუხილზე, რაც თქვენს თაობას აქვს. ცხადია, ამაში მე ნაკლებად დაგეხმარებით, რადგან თქვენი თაობის ადამიანი არ ვარ. ახალგაზრდები ახლა სხვა - თქვენებურ ენაზე საუბრობთ და ახლებურად ხედავთ ყველაფერს. ამიტომ, მოდი, ეს კითხვა თქვენ თვითონ წაიყვანეთ ისე, რომ თქვენი თაობის საწუხარიც და ინტერესებიც გამოხატოთ.**

– მთავარი წუხილი, ალბათ, ისაა, რომ ამ წუხილთა რაოდენობა იმაზე ბევრად მეტია, ვიდრე ეს ერთი შეკითხვის პასუხში შეიძლება ჩაეტიოს. თან მაინცდამაინც არც ადამიანთა იმ კატეგორიას მივეკუთვნები, საზოგადოების სხვადასხვა ნაწილის სახელით დასკვნების გამოტანა და საკუთარი აზრის დიდ ჯგუფებზე განზოგადება რომ უყვართ. ერთი ის შემიძლია ვთქვა, რომ თუ ნაკლები ნიჰილიზმი იქნება და მეტი სწრაფვა ცვლილებებისადმი, ალბათ, სხვა დროს, ეს წუხილები შეიძლება ერთი შეკითხვის პასუხშიც ჩაეტიოს.

**– რა კონდიციაშია ახლა თანამედროვე ქართული მწერლობა?**

– ვეჭვობ, ამ მდგომარეობას რაიმე სპეციფიკური ზედსართავი შეესაბამებოდეს. ისეთივე მდგომარეობაშია, როგორც ბევრი სხვა ქვეყნის თანამედროვე მწერლობა, ანუ, კარგი წიგნებიც იწერება, არცთუ კარგიც და „ეს რატომ დაიწერა საერთოდ“-აც გამოერევა დროდადრო. „კარგი“, „არცთუ კარგი“ და „ეს რატომ დაიწერა საერთოდ“, ამ შემთხვევაში, ბუნებრივია, სუბიექტურია, რადგან წიგნების უმეტესობას – საკუთარის ჩათვლით – ყოველთვის აქვს პოტენციალი, კონკ-

სტუმარი

რეტული მკითხველის თვალში ამ სამიდან ნებისმიერ კატეგორიაში მოხვდეს.

**– რას კითხულობთ ხოლმე თქვენ თვითონ?**
– ადრე განურჩევლად ვკითხულობდი ჟანრის, მოცულობის, ავტორის, მთარგმნელის და სხვა კრიტერიუმების მიუხედავად. რაღაცით იმას ჰგავდა, შვედურ მაგიდასთან მოხვედრილი ადამიანი ცოტა-ცოტა ყველაფრის გასინჯვას რომ ცდილობს და თეფშზე იხვავებს. თუმცა, თავისუფალი დროის შემცირებასთან ერთად, მივხვდი, რომ მთლად იმდენ ხანსაც არ ვცხოვრობთ, რომ ასეთ მიდგომას დიდი პერსპექტივა ჰქონდეს. ზოგადად, ვცდილობ, რაც ქართულ ლიტერატურაში ახალი შეიქმნება, ყველაფერს გავეცნო და მსოფლიო ლიტერატურაში ან რეკომენდაციებს ვენდო, ან საკუთარ გამოცდილებას. მომწონს სარამაგო, ოსტერი, გეიმანი, ვონეგუტი, საფრან ფოერი და ქართველ ავტორთა ნაწილი, რომელთაც „ქართველ ავტორთა ნაწილად“ დავტოვებ.

**– ბექა, პირველივე კითხვა პროფესიას შეეხო და ამ თემას ისევ მინდა, მივუბრუნდეთ, რადგან დღეს ახალგაზრდებისთვის ძალიან რთულია პროფესიის არჩევა. ხშირად, პროფესიის არჩევიდან რამდენიმე წელიწადში, განხიბვლა ხდება (მგონი, თქვენც ასე დაგემართათ) და ერთი-ორი წლის ან სულაც ბაკალავრის დასრულების შემდეგ, აღმოაჩენენ ადამიანები, რომ თურმე ეს ის არ არის, რისი კეთებაც მათ სიამოვნებას ანიჭებთ. რატომ ხდება ასე? და რა უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ ახალგაზრდებმა პროფესია სწორად შეარჩიონ? პრობლემა სად არის?**
– სულ მაშინებს ხოლმე ისეთ შეკითხვებზე პასუხის გაცემა, რომელ სფეროშიც ჩემზე ბევრად კომპეტენტურმა ადამიანებმა მაინცდამაინც სასარგებლო ვერაფერი მოიფიქრეს. თუკი პროფესიას ახალგაზრდა თავად ირჩევს და არა მისი მშობლები ან წარსული მემკვიდრეობა, მაშინ პრობლემა უფრო ცოდნის მიწოდების მეთოდებში მგონია. მინახავს ლექტორები, რომლებსაც შეუძლიათ საშინლად უინტერესო გახადონ საგანი, რომელიც სემესტრის ნათელ წერტილად გეჩვენებოდა და პირიქით – იმდენად საინტერესოდ მოყვნენ იმაზე, რაც დამატებით საგნად აირჩიე, რომ მთლიანად სფეროთი დაგაინტერესონ. პრობლემა კი სწორედ იმაშია, რომ, როგორც წესი, ის კატეგორია ჭარბობს ხოლმე, ვისაც არც მეთოდიკის შეცვლა სურს და არც იმის განახლება, რასაც წლების განმავლობაში ასწავლიდა.

**– როგორ სამყაროში ვცხოვრობთ?**
– პანდემიამ აჩვენა, რომ სამყარო „ყოველთვის კარგია, რაკილა ყოველთვის შეიძლება უარესი იყოს“.

**– ხშირად ადამიანების პრობლემა მიუღებლობაა – არ ვიღებთ ადამიანებს ისეთს, როგორებიც არიან, არ ვუსმენთ მათ აზრებს იმიტომ, რომ ჩვენსას არ ემთხვევა, არ ვაფასებთ იმიტომ, რომ საზოგადოების მიერ დადგენილ ჩარჩოებს სცდება... როგორ ფიქრობთ, ეს განათლების დეფიციტია?**
– საქართველოში არსებული ნებისმიერი პრობლემა მარტივ მამრავლებად რომ დავშალოთ, ერთ-ერთი აუცილებლად იქნება „განათლების დეფიციტი“, რაც, ალბათ, სტატისტიკურად ყველაზე პოპულარული პასუხია ამ პრობლემების მიზეზების ძიებისას. რაც შეეხება ამ შეკითხვას, ხშირ შემთხვევაში, ნამდვილად განათლების დეფიციტი შეიძლება იყოს პრობლემა, მაგრამ ზოგჯერ – ფსევდოგანათლების სიჭარბესაც შეუძლია კომუნიკაციის პრობლემები შექმნას, როცა კონკრეტული ადამიანი პლატონის, ნიცშეს, ჰაიდეგერის თუ სხვათა მხრებზე მდგარი გასცქერის სამყაროს და ჰგონია, რომ აბსოლუტურ ჭეშმარიტებას მიაღწია.

**– რადგან განათლებაზე ვსაუბრობთ, აქვე გკითხავთ – დღევანდელი უმაღლესი განათლება საქართველოში დასაქმების გარანტი არის თუ არა?**
– ჩემი აზრით, დღევანდელი უმაღლესი განათლება დასაქმების გარანტი რომ იყოს, სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს უმუშევართა სტატისტიკაში გაცილებით დაბალი რიცხვები ექნებოდა.

**– მინდა გკითხოთ, რა შეგრძნებაა პოპულარობა?**
– გულწრფელი თუ ვიქნები, დიდად წარმოდგენა არ მაქვს. არ მივიჩნევ თავს იმ დოზით პოპულარულად, რომ ამ შეკითხვაზე თამამად (ან თუნდაც მორცხვად) ვუპასუხო. თუმცა, ცნობადობის ის დონე, რაც მკითხველთა კონკრეტულ სეგმენტში არსებობს, ძალიან სასიამოვნოა. ყოველ შემთხვევაში, იმ ეტაპზე ნამდვილად არ ვარ – „წერილებს ვერ ავუდივარ“, „სულ ეს ინტერვიუებია და ჩაწერები, მინდა, რომ ყველაფერს მოვწყდე ცოტა ხნით“ – ვიძახო.

**– ახლა რაზე მუშაობთ?**
– ახლა ძირითადად საკუთარ თავზე ვმუშაობ, რომ რამეზე სერიოზული მუშაობა დავიწყო და თან ეს „რამე“ ისეთი იყოს, რომ „ამას მეორე წიგნიც კი ჯობდაო“ კომენტარი არ გამოიწვიოს პოტენციურ მკითხველში.

**– ვინ არის თქვენი საყვარელი ლიტერატურული გმირი?**
– რამდენიმე ლიტერატურული გმირი მომწონს. მათ შორის: დიდი კომბინატორი ოსტაპ-სულეიმან-ბერტა-მარია-ბენდერ-ბეი (რომლის სრულ სახელსაც, მისადმი სიყვარულის მიუხედავად, ყოველთვის ვგუგლავ), პატარა პრინცი, კარლსონი და ჰეკლბერი ფინი. ძირითადად, ბავშვობის სიმპათიები გამახსენდა, რადგან, როგორც ჩანს, „დიდობაში“ პერსონაჟები ნაკლებად მიყვარდება.

**– წერის გარდა, რა არის საქმე, რომელსაც აკეთებთ და აკეთებთ შედეგიანად?**
– ჩემი ცხოვრების ამ ეტაპზე უფრო პირიქითაა, მეტ დროს ვუთმობ სარეკლამო სფეროს და დროდადრო ვწერ. თუ ჩემი მონაწილეობით შექმნილ კამპანიებსა და სარეკლამო ვიდეოებს გავიხსენებ, შეიძლება ითქვას, რომ ეს დათმობილი დრო შედეგიანია ან უბრალოდ, ჩემი სამსახურის ბუღალტერიაში ძალიან კეთილი თანამშრომელი მუშაობს.

ესაუბრა **ლალი ჯელაძე**

Info
www.akhaliganatleba.ge

## სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული სტუდენტები საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის შენობაში ისწავლიან

განათლების მინისტრის მოადგილე თამარ ქიტიაშვილი პროფესიული განათლების მიმართულებით მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტებისა და სასწავლო პროცესის გაცნობის მიზნით, სამცხე-ჯავახეთის რეგიონში იმყოფებოდა. ახალქალაქში მინისტრის მოადგილე სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მესამე კორპუსში მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოებს გაეცნო. შენობას, სადაც მხოლოდ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მიმართულების სტუდენტები ისწავლიან, სრული რეაბილიტაცია უტარდება.

სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულების შემდეგ, სასწავლო დაწესებულება ყველა თანამედროვე სტანდარტს დააკმაყოფილებს, იქნება სრულად ადაპტირებული სსსმ და შშმ პირებზე, აღიჭურვება თანამედროვე ლაბორატორიებით, მოეწყობა კომფორტული სასწავლო აუდიტორიები, ბიბლიოთეკა, საკონფერენციო სივრცე.

200 სტუდენტზე გათვლილი განახლებული სასწავლებელი, ახალქალაქისა და რეგიონის სხვა მუნიციპალიტეტების საჭიროებების გათვალისწინებით, ახალგაზრდებსა და ზრდასრულებს საბაჟო საქმის, სარკინიგზო, სოფლის მეურნეობისა და სხვა პრიორიტეტული მიმართულებების საგანმანათლებლო და მომზადება-გადამზადების პროგრამებს შესთავაზებს.

თამარ ქიტიაშვილი ახალციხის პროფესიულ კოლეჯ „ოპიზარსაც“ ესტუმრა, სადაც პრაქტიკულ-ლაბორატორიული სამუშაოები ჯანდაცვის სამინისტროს რეკომენდაციებისა და სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების სრული დაცვით მიმდინარეობს.

ამ ეტაპზე, კოლეჯის ტერიტორიაზე, მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტი მიმდინარეობს, რომელსაც სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო ახორციელებს. კერძოდ, საინჟინრო, სამშენებლო და სატრანსპორტო მიმართულების სტუდენტებისთვის საერთაშორისო სტანდარტის ოთხი სახელოსნო შენდება. თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად აღჭურვილი სახელოსნოები შესაძლებლობას მისცემს კოლეჯს, გააორმაგოს სტუდენტების რაოდენობა და 1000-მდე პროფესიული სტუდენტი მიიღოს.

კოლეჯ „ოპიზარში“ შესაძლებელია რეგიონის საჭიროებებზე მორგებული ისეთი პროფესიების დაუფლება, როგორებიცაა: მშენებლობა, ელექტროობა, საინჟინრო საქმე, საინფორმაციო ტექნოლოგიები, ბუღალტერია, საბაჟო საქმე, ვეტერინარია, მეფუტკრეობა, სატყეო საქმე, კულინარია, სამკერვალო საქმე და სხვ. გრძელვადიან პროგრამებთან ერთად, კოლეჯი მომზადება-გადამზადების მოკლევადიან პროგრამებსაც ახორციელებს.

კოლეჯს აქვს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი მძლავრი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა სასწავლო აუდიტორიებითა და ლაბორატორიებით. შენობა ადაპტირებულია სსსმ პირებისთვის.

ინოვაციური იდეების განხორციელებისთვის კოლეჯში შეიქმნა და წარმატებით მუშაობს სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორია. „ფაბლაბ ოპიზარის“ ლაბორატორია აღჭურვილია უახლესი ტექნიკით და აქ ყველა პროფესიის სტუდენტს შეუძლია კრეატიული იდეების რეალიზება. კოლეჯში ფუნქციონირებს საერთაშორისო ამერიკული Ciscos აკადემია და ბიბლიოთეკა, რომელიც აღჭურვილია მატერიალური და ელექტრონული წიგნადი ფონდით.

## სამეცნიერო კვლევების მნიშვნელოვანი და საგულისხმო სტატისტიკა

საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა, სამეცნიერო დაწესებულებებში, მეცნიერული კვლევებისა და დამუშავების შესახებ კვლევა ჩაატარა. გამოქვეყნებული სტატისტიკა რამდენიმე მიმართულებითაა მნიშვნელოვანი და საგულისხმო. კერძოდ, კვლევის შედეგების მიხედვით ირკვევა, რომ 2019 წელს, მეცნიერულ კვლევებს 48 დაწესებულების 13732 ადამიანი ახორციელებდა, რომელთაც 140.2 მილიონი ლარის სამუშაო შეასრულეს. მკვლევართა 52,4% (5393) ქალია, ხოლო 47,6% – კაცი (4852); ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, კვლევაში ჩართულობა, თითქმის, თანაბარია 25-34 წლის ქალებსა და მამაკაცებს შორის, სხვაობა თვალშისაცემია ქალების სასარგებლოდ 35-44 ასაკობრივ ჯგუფში, 65 წლის ზემოთ მკვლევარი ქალების რაოდენობა 23,6%-ია, მამაკაცების კი – 32,4%.

რაც შეეხება განათლების დონესა და სქესს, მკვლევართა 71,4% დოქტორია – აქ ქალ და მამაკაც მკვლევართა თანაბარდობა, თითქმის, ერთნაირია; ასევეა მაგისტრი ან მასთან გათანაბრებული მკვლევრების შემთხვევაში – 26,4% ქალი, 27,1% კაცი; ბაკალავრი ან მასთან გათანაბრებული მკვლევარი ქალების რაოდენობა 2.1%-ია, ხოლო კაცების – 1.6%.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოქვეყნებული ინფორმაციიდან, ასევე, ვიგებთ როგორია მკვლევართა გადანაწილება სამეცნიერო სფეროების მიხედვით. ყველაზე დიდი ნაწილი საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულებით მუშაობს, მათი საერთო რაოდენობა 2 398-ს შეადგენს, ხოლო ყველაზე მცირე ნაწილი – სოფლის მეურნეობისა და ვეტერინარიის, ამ მიმართულებით 442 ადამიანია დასაქმებული.




## კასპში პროფესიული კოლეჯი და ინოვაციების ცენტრი გაიხსნა



პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს კიდევ ერთი კოლეჯი შეემატა. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილემ, თამარ ქიტიაშვილმა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილემ, ირაკლი ნადარეიშვილმა და კასპის მაჟორიტარმა დეპუტატმა, ირაკლი მეზურნიშვილმა ქალაქ კასპში პროფესიული კოლეჯი და ინოვაციების ცენტრი გახსნეს. ამ მნიშვნელოვანი დაწესებულებების ამოქმედება რეგიონის განვითარებასა და მისი მოსახლეობის ეკონომიკური კეთილდღეობის ხელშეწყობას ისახავს მიზნად.

თამარ ქიტიაშვილმა ადგილობრივ მოსახლეობას კოლეჯისა და ინოვაციების ცენტრის გახსნა მიულოცა და აღნიშნა, რომ ეს ხელს შეუწყობს ადამიანების შესაძლებლობებისა და იდეების რეალიზებას და რეგიონის ეკონომიკურ განვითარებას. მინისტრის მოადგილის შეფასებით, შენობის თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ინფრასტრუქტურა შესაძლებლობას ქმნის, კოლეჯის ბაზაზე, საერთაშორისო სასერტიფიკატო პროგრამები დაინერგოს, რაც ადგილობრივ ახალგაზრდებსა და ზრდასრულებს საშუალებას მისცემს, აიმაღლონ კვალიფიკაცია და შეძლონ დასაქმება.

კასპის კოლეჯი, პირველ ეტაპზე, პროფესიული მომზადება-გადამზადების შვიდი მოკლევადიანი პროგრამის განხორციელებას დაიწყებს. მომავალი წლიდან კი ტურიზმის, სოფლის მეურნეობის, საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და მშენებლობის მიმართულებების სადიპლომო პროფესიული პროგრამები დაინერგება.

გარდა აღნიშნულისა, კოლეჯის ტერიტორიაზე 7 ახალი სახელოსნო შენდება, სადაც 2021 წლის პირველი ნახევრიდან სტუდენტები თანამედროვე სტანდარტების შესაბამის სამუშაო სივრცეში პრაქტიკული უნარების განვითარებას შეძლებენ.

გამოცდილება

# აფრიკის სავანებისა და უდაბნოების შედარებითი დახასიათება, სერენგეტისა და ტენერეს დაცული ტერიტორიების მაგალითზე



**ნოფალ ალიევი**
*სსიპ ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ აკაურთის საჯარო სკოლის დირექტორი, უფროსი მასწავლებელი*

**საგანი:** გეოგრაფია
**კლასი:** VII
**მოკლე აღწერა:**
აფრიკის სავანები და ცხელი ქვიშიანი უდაბნოები საოცარი სილამაზითა და ინდივიდუალური პეიზაჟებით გვხიბლავს და გვიზიდავს. თითოეული ბუნებრივი ზონის ჩამოყალიბებაზე მრავალი ფაქტორი მოქმედებს, როგორებიცაა: კლიმატური პირობები, ნალექების განაწილება, რელიეფის ფორმები, ფლორა, ფაუნა და სხვა. მოცემულ დავალებაზე მუშაობის პროცესში ვირტუალურად იმოგზაურებთ თვალწარმტაც ბუნებაში და თავად აღმოაჩენთ, თუ რა გავლენას ახდენს თითოეული ბუნებრივი კომპონენტი გეოგრაფიული გარსის ჩამოყალიბებასა და მის მთლიანობაზე.

**სამიზნე ცნება:** „გეოგრაფიული გარსი“, „გეოგრაფიული კვლევა“
**საკითხი:** აფრიკის სავანებისა და უდაბნოების შედარებითი დახასიათება, სერენგეტისა და ტენერეს დაცული ტერიტორიების მაგალითზე
**კომპლექსური დავალების პირობა:**

წარმოიდგინეთ, რომ ზაფხულის არდადეგების დროს, ოჯახის წევრებთან ერთად, ტურისტული მიზნით, იმყოფებოდით აფრიკაში, კერძოდ, ტანზანიასა და ნიგერიაში, სადაც სერენგეტისა და ტენერეს დაცულ ტერიტორიებს ეწვიეთ.

თქვენ გაგაოცათ ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებულმა სავანამ და ცხელმა ქვიშიანმა უდაბნომ. შთაბეჭდილება იმდენად ძლიერი იყო, რომ გადაწყვიტეთ, ამ საკითხებზე პრეზენტაცია მოამზადოთ და მეგობრებს გაუზიაროთ.

**თქვენ მიერ შექმნილ პრეზენტაციაში ხაზგასმით წარმოაჩინეთ:**

⇨ როგორ ვლინდება გეოგრაფიული გარსის სფეროების ურთიერთდამოკიდებულება და მთლიანობა სერენგეტისა და ტენერეს დაცული ტერიტორიების მაგალითზე;
⇨ სავანებისა და უდაბნოების ცალკეულ კომპონენტებს შორის მსგავსება-განსხვავება;
⇨ როგორ შეიძლება, საკუთარი საქმიანობის შედეგად, ადამიანმა სავანები და უდაბნოები გარდაქმნას?

ნაშრომის პრეზენტაციისას წარმოაჩინეთ, კვლევის რა ეტაპები გაიარეთ პრეზენტაციის მომზადების დროს.

**პრაქტიკული რჩევები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისთვის:**

✓ დავალებაზე მუშაობის დაწყებამდე, ნახეთ დოკუმენტური ფილმები: „სავანა“ და „ტროპიკული უდაბნოები“. ფილმების ყურებისას, თითოეული ბუნებრივი ზონის ცალკეულ კომპონენტზე გაამახვილეთ ყურადღება, როგორიცაა: რელიეფის ფორმები, კლიმატური პირობები, შიდა წყლები, ფლორა და ფაუნა. უმჯობესია, თუ თითოეული ბუნებრივი ზონის მახასიათებლებს ცალკე მოინიშნავთ, რაც შემდეგ პრეზენტაციის მომზადებაში, მოცემული ბუნებრივი ზონების უკეთ შედარებაში და მსგავსება-განსხვავების დანახვაში დაგეხმარებათ.

✓ ვიდეოს ნახვის შემდეგ, გაეცანით საკითხავ მასალას – „უდაბნოები და სავანები“. ინფორმაციის დამუშავებისას, გაითვალისწინეთ, რომ მნიშვნელოვანია, კავშირი დაინახოთ გეოგრაფიული გარსის ცალკეულ კომპონენტებს შორის, მაგალითად, რა გავლენას ახდენს ნალექების განაწილება ფლორისა და ფაუნის ჩამოყალიბებაზე; ასევე, როგორია რელიეფის გავლენა კლიმატზე, ფლორაზე, ფაუნაზე და სხვა. მნიშვნელოვანია, რომ პრეზენტაციაში ყველა ეს კავშირები ჩანდეს.

✓ საკითხავ მასალაში დააკვირდით აფრიკის რუკას, რომელზეც სავანების, ტროპიკული უდაბნოებისა და ნახევარ უდაბნოების გავრცელების არეალებია მოცემული; გამოთქვით ვარაუდები, როგორ შეიძლება, სამომავლოდ, ადამიანის ინტენსიური ჩარევის შედეგად, შეიცვალოს მოცემული ბუნებრივი ზონების საზღვრები.

პრეზენტაციის მომზადების დროს, ყურადღება მიაქციეთ აღნიშნული ბუნებრივი ზონების ცვლილების არა მარტო უარყოფით (მაგალითად, გაუდაბნოება), არამედ დადებით შედეგებსაც (მაგალითად, დაცული ტერიტორიების შექმნა და ბუნებრივი ჰაბიტატების (ცოცხალი ორგანიზმებისთვის არსებული გეოგრაფიული არეალი, სადაც თითოეული მათგანი ცხოვრობს, იკვებება, მრავლდება, იზრდება და ვითარდება) კონსერვაცია).

✓ პრეზენტაციის მომზადების დროს გაითვალისწინეთ, რომ მეგობრებს გაუზიაროთ, რა ტიპის გეოგრაფიული კვლევა ჩაატარეთ დავალებაზე მუშაობის პროცესში, კერძოდ, ეს იყო ფილმებისა და რუკების ანალიზი, ვარაუდების გამოთქმა, თუ კიდევ სხვა რომელიმე ეტაპი.

# *SERENGETI VƏ TENERININ QORUNAN ƏRAZILƏRININ NÜMUNƏSINDƏ AFRIKA SAVANNALARI VƏ SƏHRALARININ MÜQAYISƏLI XARAKTERISTIKASI*

**FƏNN:** Coğrafiya
**SINIF:** VII
**GIRIŞ:** Savanna, Afrika, Səhra
**BAŞLIQ:**
Serengeti və Tenerinin qorunan ərazilərinin nümunəsində Afrika savannaları və səhralarının müqayisəli xarakteristikası
**QISA TƏSVIR:**
Afrika savannaları və isti qumlu səhralar öz heyrətamiz gözəllikləri və fərdi mənzərələri ilə bizi valeh edir və valeh edir. Hər bir təbii zonanın meydana gəlməsinə bir çox amillər təsir göstərir, məsələn: İqlim şəraiti, yağıntının paylanması, relyef formaları, flora, fauna və sair.

Bu tapşırıq üzərində işləyərkən faktiki olaraq mənzərəli təbiətə səyahət edəcək və hər bir təbii komponentin coğrafi membranın formalaşmasına və bütövlüyünə hansı təsir göstərdiyini özünüz üçün kəşf edəcəksiniz.

**HƏDƏF KONSEPSIYASI:** „Coğrafi araşdırma“, „Coğrafi Tədqiqat“
**MƏSƏLƏ:** Serengeti və Tenerinin qorunan ərazilərinin nümunəsində Afrika savannaları və səhraların müqayisəli xarakteristikası
**KOMPLEKS TAPŞIRIĞIN ŞƏRTLƏRI:**
Təsəvvür edin ki, yay tətilində siz və ailəniz Afrikaya, xüsusən də Tanzaniya və Nigeriyaya, Serengeti və Teneri'nin qorunan ərazilərində idiniz. Tamamilə fərqli savanna və isti qumlu səhra sizi heyrətləndirdi. Təəssürat o qədər güclü idi ki, bu mövzularda təqdimat hazırlayıb dostlarınızla bölüşməyə qərar verdiniz.

**TƏQDIMATINIZDA VURĞULAYIN:**

⇨ Coğrafi ərazilərinin qarşılıqlı asılılığı və bütövlüyü, Serengeti və Tenere'nin qorunan ərazilərinin timsalında;
⇨ Savannalar və səhraların fərdi komponentləri arasındakı oxşarlıqlar və fərqlər;
⇨ İnsan öz fəaliyyətinin nəticəsində savannaları və səhraları necə dəyişə bilər?

Sənədin təqdimatının hazırlanması zamanı tədqiqatın hansı mərhələlərindən keçdiyinizi göstərin.

**KOMPLEKS BIR TAPŞIRIĞIN ÜZƏRINDƏ IŞLƏMƏK ÜÇÜN PRAKTIK MƏSLƏHƏTLƏR:**

✓ Tapşırıq üzərində işə başlamazdan əvvəl sənədli filmlərə baxın: "Savana"və "Tropik səhralar". Filmlərə baxarkən hər bir təbii zonanın fərdi komponentlərinə diqqət yetirin, məsələn: Relyef formaları, iqlim şəraiti, daxili sular, flora və fauna. Hər bir təbii zonanın xüsusiyyətlərini ayrıca qeyd etmək daha yaxşıdır ki, bu da bir təqdimat hazırlamağa və verilmiş təbii zonaları daha yaxşı müqayisə etməyə, oxşarlıqları və fərqləri görməyə kömək edəcəkdir.

✓ Videoya baxdıqdan sonra "Səhralar və Savannalar" oxu materialını oxuyun.

Məlumat hazırlayarkən, coğrafi ərazilərin fərdi komponentləri arasındakı əlaqəni görməyin vacib olduğunu unutmayın, məsələn, yağıntının paylanması flora və faunanın formalaşmasına hansı təsir göstərir; ayrıca, ərazinin relyefi iqlimə, flora, faunaya və digər sahələrə təsiri nədir. Təqdimatda bu əlaqələrin hamısının görünməsi vacibdir.

✓ Oxu materialında Afrika xəritəsinə baxın,harada ki, Savannaların, tropik səhraların və yarımsəhra çöllərinin yayılma sahələri verilmişdir;

✓ İntensiv insan müdaxiləsi nəticəsində bu təbii zonaların sərhədlərinin gələcəkdə necə dəyişə biləcəyi barədə fərziyyələr hazırlayın.

Təqdimat hazırlayarkən yalnız təbii zonalarda baş verən mənfi dəyişikliklərə (məsələn, səhralaşma) deyil, müsbət nəticələrə də diqqət yetirin. (Məsələn, qorunan ərazilərin yaradılması və təbii yaşayış yerlərinin qorunması (hər birinin yaşadığı, bəsləndiyi, çoxaldığı, böyüdüyü və inkişaf etdiyi canlı orqanizmlər üçün coğrafi bölgələr)).

✓ Təqdimat hazırlayarkən, Tapşırıq üzərində işləmə müddətində hansı coğrafi araşdırma apardığınızı, xüsusən də film və xəritələri təhlil etdiyini, fərziyyələr hazırladığını və ya başqa bir mərhələni dostlarınızla bölüşməyinizə əmin olun, dostlarınızla bölüşün.





უმაღლესი სასპორტო განათლება

# მაღალი სტატუსით აღდგენილი სასწავლებლის ტრაგიკული ბედი

*ჩვენი გაზეთი უკვე წერდა საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მძიმე რეალობის შესახებ – ქვეყნის ერთადერთი უმაღლესი სპორტული სასწავლებელი, ფაქტობრივად, საკუთარი შენობის გარეშეა დარჩენილი და ხან ვინ შეიფარებს, ხან ვინ. ვაკეში მდებარე ძველი შენობა იმდენად ამორტიზებულია, სამხარაულის ექსპერტიზის ბიურომ იქ სასწავლო პროცესის წარმართვა სტუდენტების და პროფესორ-მასწავლებლების სიცოცხლისთვის სახიფათოდ მიიჩნია. ამ პრობლემებისა და განადგურებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამო სასწავლებელი ვერც აკრედიტაციას გადის, თუმცა ახალი სასწავლო წელი მაინც ძველ შენობაში დაიწყო, რადგან წასასვლელიც არსად აქვთ. ამაში დისტანციური რეჟიმიც დაეხმარა, ამასობაში კი მთავრობა მათთვის, თავადაც დევნილ, სოხუმის უნივერსიტეტში გარკვეულ ფართს არემონტებს...*

*ალბათ, იშვიათია, ქართულ რეალობაში ამდენად ტრაგიკული ბედის უმაღლესი სასწავლებელი მოიძებნოს: ჯერ იყო და, წინა ხელისუფლებამ საერთოდ გააუქმა მისი წინამორბედი სპორტის აკადემია და ილიას უნივერსიტეტის ერთ ფაკულტეტად გადააქცია, რამაც დიდი დარტყმა მიაყენა ქართულ სპორტს; საბედნიეროდ, ახალმა ხელისუფლებამ ეს შეცდომა გამოასწორა და უმაღლესი სასპორტო სასწავლებელი აღადგინა, თანაც – უფრო მაღალი სტატუსით, თუმცა ამით მის გაჭირვებას არ ეშველა... ძველ შენობაში დაბრუნებულებს იქაურობა ლამის საძირკვლამდე დაზიანებული დახვდათ (შენობაში წყალი იყო მიშვებული, რამაც საძირკველი სერიოზულად დააზიანა), ლაბორატორიები – განადგურებული, ბაზები კი – გაყიდული და მათ ადგილზე წამოჭიმული კორპუსები. დაგვეთანხმებით, ქვეყნის პრესტიჟია, ჯეროვნად უვლიდეს ერთადერთ უმაღლეს სპორტულ სასწავლებელს. მით უფრო, რომ ქართული სპორტი, თავისი წარმატებებით, ნამდვილად იმსახურებს ამას. დასამალი არავისთვისაა, რომ თანამედროვე მსოფლიოს სპორტი ერთი დიდი მეცნიერებაა, სადაც სასწავლო-სამეცნიერო პროცესი სწორედ ასეთ უმაღლეს სასწავლებლებში მიმდინარეობს.*



*საბედნიეროდ, მთავრობა ზრუნავს ამ ხარვეზის გამოსწორებაზე და 2021 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია უნივერსიტეტისთვის ახალი კორპუსის მშენებლობა დიღომში, „ოლიმპიური პარკის“ ტერიტორიაზე. რა ხდება ამ მხრივ და რა ეტაპზეა მშენებლობა, ამ თემებზე სასაუბროდ უკეთეს რესპონდენტს ვის ვნახავდით, თუ არა საქართველოს მეცნიერების, განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სპორტის დეპარტამენტის უფროსს, ირაკლი დოლაბერიძეს, რომელიც ერთ-ერთი მთავარი ფიგურა იყო ამ უნივერსიტეტის აღსადგენად წარმოებულ ხანგრძლივ ბრძოლაში.*

**– ბატონო ირაკლი, რა ხდება სპორტის სასწავლო უნივერსიტეტთან დაკავშირებით – ისევ ძალაშია ახალი შენობის აშენების გეგმა თუ ეს ვარიანტიც შეიცვალა?**

– არაფერი შეცვლილა და ეს გეგმა ისევ ძალაშია. ყველა თანხმდება და უპირველესად, საქართველოს მთავრობა და სპორტის სამინისტრო იმაზე, რომ ქვეყანაში თუნდაც ერთი ისეთი უმაღლესი აკადემიური სასპორტო სასწავლებელი უნდა არსებობდეს, როგორიცაა სპორტის უნივერსიტეტი. ჯერჯერობით, ორსაფეხურიანია, მაგრამ იმედი მაქვს, რომ სამსაფეხურიანი გახდება, რაც სწავლების ყველა საფეხურს – ბაკალავრიატს, მაგისტრატურასა და დოქტურანტურას გულისხმობს. მომავალი წლის ბიუჯეტში ჩადებულია თანხა და სხვა ინფრასტრუქტურულ პროექტებთან ერთად (ჭიდაობის სასახლე, ყინულის სასახლე, სპორტული რეაბილიტაციის ცენტრი), სპორტის სასახლის მშენებლობას ითვალისწინებს, 2021 წელს, დიღომში მდებარე „ოლიმპიური პარკის“ ტერიტორიაზე, ე.წ. დიღმის ჭალებში. ზუსტად იქ, სადაც „თბილისი-2015“ მდებარეობს, ანუ ზაფხულის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალისთვის აშენებული სპორტული ობიექტები. ეს ერთგვარი სპორტული ქალაქი იქნება და უნივერსიტეტიც იმ ტერიტორიაზე აშენდება.

**– თქვენ მიერ დასახელებული სხვა ობიექტების აშენებაც იქ იგეგმება თუ ქალაქის სხვა ტერიტორიაზე?**

– ჩვენ ხელთ არსებული ინფორმაციით, რადგან იქაურობა ერთგვარად სპორტული მომზადების ცენტრი იქნება, მიზანშეწონილია, რომ სხვა ობიექტებიც იმავე ტერიტორიაზე აშენდეს. მით უფრო, რომ ეს უნდა იყოს სანაკრებო ბაზები, რაც უნივერსიტეტსაც გამოადგება, რადგან სტუდენტები ამ ბაზებზე გაივლიან პრაქტიკას და იქვე ჩაატარებენ სტაჟირებას. ეს ძალიან ხელსაყრელი იქნება მათთვის, ვინც სასპორტო განათლების კუთხით დააპირებს კარიერის გაგრძელებას.

**– ბაზები ყველასთვის საკმარისი იქნება – სასწავლო პროცესისთვის, სტუდენტებისთვის, მაღალი მიღწევების სპორტისთვის?**

– იმ ბაზებზე უკეთესი, რომელიც დღეს სპორტის უნივერსიტეტს აქვს, ჯერჯერობით, საქართველოში არ იქნება. დღეს არსებული და მშენებარე ბაზები, პრაქტიკულად, მწვრთნელთა ფაკულტეტის ყველა სახეობას მოიცავს, ხოლო რაც შეეხება მენეჯმენტს, თეორიას, პედაგოგიურ მიმართულებას, ამისთვის გაცილებით ნაკლებია საჭირო. სპორტის იმ სახეობებისთვის, რაც დღეს იქ არსებობს (ტანვარჯიში, საცურაო სახეობები, რაგბი, ფეხბურთი, ფრენბურთი, მძლეოსნობა თუ სხვა) მოედნები, ამასთან ის დარბაზებიც, რომლებიც უნდა აშენდეს, სავსებით საკმარისი იქნება სასწავლო, საწვრთნელი და სამეცნიერო მუშაობის წარსამართავად.

**– თუმცა, ეს ბაზები ხომ ცალკეული ფედერაციების კუთვნილებაა, ანუ დღეს ყველას პატრონი ჰყავს...**

– ეს ბაზები სახელმწიფოს საკუთრებაა, მაგრამ ფედერაციების ბალანსზეც რომ გადავიდეს, ამაშიც ვერ ვხედავთ პრობლემას, რადგან სახელმწიფო და ფედერაციები ერთი ორგანიზმია, ერთ მიზანს ემსახურებიან. თავად ფედერაციები არიან დაინტერესებულნი, რომ ჰყავდეთ კვალიფიციური კადრები. ასე იყო ადრეც – ფალავანთა კლუბი თუ სხვა სპორტული ობიექტები, რომელსაც უნივერსიტეტი იყენებდა თავისი სტუდენტებისთვის, კათედრებიც ამ ბაზებზე იყო განლაგებული. ასე იქნება ახლაც – პრაქტიკული და საწვრთნელი პროცესი ამ არენებზე ჩატარდება, თეორიული მეცადინეობებისთვის კი ცალკე კორპუსი აშენდება, რომელიც აღჭურვილი იქნება სასწავლო-მეთოდური კაბინეტებით, სამედიცინო აუდიტორიებითა და ლაბორატორიებით.

**– ამ ტერიტორიაზე მაღალი მიღწევების სპორტი და სასწავლო პროცესი ერთმანეთს ხელს არ შეუშლის?**

– რა თქმა უნდა, არ შეუშლის. ასე იყო ადრეც და ახლაც ეს ყველაფერი შეთანხმებული, გეგმასა და დროში გაწერილია. პირიქით, ცალ-ცალკე რომ იყოს, უფრო პრობლემური იქნებოდა. მოგეხსენებათ, უმაღლეს სასპორტო სასწავლებელში სწავლას, ძირითადად, სპორტსმენები აგრძელებენ, ძალიან იშვიათი გამონაკლისია, რომ სხვა მიმართულების ხალხმა მოინდომოს სამწვრთნელო საქმიანობა. ამიტომ, სტუდენტებს, რომლებიც ისედაც პრაქტიკულად ვარჯიშობენ ფედერაციაში და ნაკრებებში არიან, შესაძლებლობა ეძლევათ, საწვრთნელ პროცესთან ერთად, ხელი არ შეეშალოთ უმაღლესი სასპორტო განათლების მიღებაში, რაც კარიერის დასრულების შემდეგ, პროფესიონალ მწვრთნელებად და სასპორტო კადრებად ჩამოყალიბებაში დაეხმარებათ.

**– ალბათ, „ოლიმპიურ პარკში“ ინფრასტრუქტურის, კომუნიკაციების, უპირველესად კი სატრანსპორტო კომუნიკაციის მოწესრიგებაც იგეგმება, რადგან დღეს იქაურობა მოწყვეტილია ქალაქის უახლოეს ნაწილს და, ცოტა არ იყოს, ძნელად მისადგომია...**

– რა თქმა უნდა, ეს მერიის კომპეტენციაა და მათზეა დამოკიდებული. იქ რომ სასწავლო დაწესებულება და სხვა ობიექტები განთავსდება, გაცილებით მეტი ყურადღება მიექცევა. საზოგადოებრივი ტრანსპორტიც ამოქმედდება, მით უფრო, რომ არც ისე შორსაა ქალაქიდან. ეს ტექნიკური საკითხებია და მოგვარებადია. როგორც კი ტერიტორია აშენდება და მოეწყობა, კომუნიკაციისა და გადაადგილების პრობლემა არ იარსებებს.

**– ვაკეში სპორტის სასწავლო უნივერსიტეტის ძველი შენობა რომ გარემონტებულიყო, უფრო იაფი არ დაჯდებოდა, ვიდრე ახალი კორპუსის აშენება?**

– ძველი შენობის გარემონტება გაცილებით იაფი დაჯდება, მაგრამ იქ ძველი ინფრასტრუქტურა, პრაქტიკულად, აღარ არსებობს. იმ ბაზაზე დარჩენილია მხოლოდ ერთი სტანდარტული მოედანი, რომელიც დიდი ბრძოლის შედეგად გადავარჩინეთ და შევინარჩუნეთ. ახლა ფეხბურთის ფედერაციას გადავეცით 50-წლიანი იჯარით, ფედერაციამ კი საერთაშორისო გრანტი მოიპოვა, რომლითაც უეფა-ს სტანდარტების შესაბამისი მოედანი გაკეთდება. მისი გამოყენების უფლება უნივერსიტეტსაც აქვს. სამწუხაროდ, სხვა სპორტული ობიექტები – მძლეოსნობის დარბაზი, სპორტული მედიცინისა და რეაბილიტაციის ცენტრი და სხვა იქ აღარ არსებობს. იქაურობა სამშენებლო სამუშაოების გარემოცვაშია, ერთი-ორი მოედნის ანაბარა კი ძნელია, კვალიფიციური მწვრთნელი მოამზადო. ამიტომ მიიღო სახელმწიფომ გადაწყვეტილება, რომ აშენდეს უკეთესი, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სასწავლო-სამეცნიერო ცენტრი თავისი სპორტული ინფრასტრუქტურით – საცურაო აუზით დაწყებული სათამაშო სახეობებით დამთავრებული. ჩვენთვის მთავარია, ქვეყანას ჰქონდეს დარგის უმაღლესი სასწავლებელი იქ, სადაც უკეთესი იქნება. ვფიქრობ, ახალი უნივერსიტეტის მშენებლობა, თავისი ინფრასტრუქტურითა და შინაარსობრივადაც ახალი მიდგომებით (ადამიანური რესურსებით დაწყებული და სპორტული ბაზებით დასრულებული), უკეთესი იქნება.

**– მართალია, მაგრამ თავის დროზე, ვაკეში, ეს უნივერსიტეტი იმიტომ აშენდა და ის სპორტული ობიექტებიც მის ირგვლივ იმიტომ გაშენდა, რომ ხელსაყრელი ბუნებრივ-კლიმატური პირობები იყო – შედარებით მაღალი მდებარეობა, განსხვავებული ჰაერი, კუს ტბა, მთები და გორაკები, ყველაფერი, რაც ფიზიკურ მომზადებას სჭირდებოდა. დიღომში არის ეს ფაქტორები?**

– გეთანხმებით და ამიტომაც იყო, რომ 2007 წლიდან, ერთი დღითაც არ შეგვიწყვეტია ბრძოლა. შევინარჩუნეთ კიდეც, მაგრამ, სამწუხაროდ, მიმდებარე ტერიტორია, რომელიც ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზე იყო და არა უმაღლესი სასწავლებლის, გასხვისდა. ახლა დარჩენილია მხოლოდ ადმინისტრაციული შენობა და ის მოედანი, ზემოთ რომ ვახსენე. არც საცურაო აუზი და არც სხვა ობიექტები აღარაა უნივერსიტეტის განკარგულებაში. იმ აუზზე კომერციული ფასებია და ვერ სტუდენტები სარგებლობენ და ვერც პროფესორ-მასწავლებლები. ის სპორტული ობიექტები კი მოძველებულა. როცა იქ უმაღლესი სასწავლებელი გადავიდა – 1956 წელს, ქალაქის გარეუბანი იყო. როგორც ძველი თაობის წარმომადგენლები ამბობენ, ტრამვაი ახლანდელი IX საავადმყოფოს ტერიტორიაზე ბრუნდებოდა და ფეხით მიდიოდნენ მაშინდელ ფიზკულტურის ინსტიტუტში.

გეთანხმებით, რომ მაშინ იქ კომპლექსურად, კლიმატურად შეიქმნა სპორტული ქალაქი, თუმცა სამომავლოდ იგეგმება, რომ დიღმის ჭალებიც რეკრეაციული ზონა გახდეს, მასთან ერთად კი სპორტული დატვირთვაც მიეცეს. ვფიქრობ, ეს ოლიმპიური ქალაქი ძალიან კარგი ცენტრი იქნება, პატარა სპორტული ქალაქი, სადაც განთავსდება სპორტული ფედერაციები, სასპორტო დაწესებულებები, დარბაზები, სანაკრებო ბაზები, მათ შორის, უმაღლესი სასწავლებელი და კიდევ სხვა სპორტული ობიექტები თუ დამხმარე ნაგებობები, რაც უმაღლეს სასპორტო განათლებას სჭირდება – ლაბორატორიები და ა.შ. ვაკეში ამის შესაძლებლობა აღარაა, ირგვლივ რომ გაიხედოთ, კორპუსების ტყვეობაში მოქცეული ის პატარა ადგილი დარჩა, რომლის გადარჩენასაც, პირდაპირი გაგებით, თავი შევაკალით. საბედნიეროდ, გადავარჩინეთ კიდეც

**– ალბათ, თავის დროზე, სახელმწიფომ დიდი შეცდომა დაუშვა იმ ადგილების გასხვისებით. მაგალითად, მძლეოსნობის მანეჟის ადგილას ახლა საცხოვრებელი კორპუსებია წამოჭიმული, საქართველოში კი, ლამის სარბენი ბილიკები, მძლეოსნობის სექტორები აღარ დარჩა.**

– ეს შეცდომა კი არა, დანაშაული იყო. შეცდომის გამოსწორება შეიძლება, ამ დანაშაულის გამოსწორება კი შეუძლებელია: იქ არსებულ ბაზებს რეაბილიტაცია კი არ გაუკეთეს, არამედ დაანგრიეს და მათ ადგილზე კორპუსები ჩადგეს. ამით იქაურობას ფუნქცია დაუკარგეს. სპორტის აკადემია იყო დარჩენილი ერთადერთი ადგილი და კულტურისა და სპორტის მაშინდელმა მინისტრმა, გოკა გაბაშვილმა, მთავრობის სხდომაზე, მისი გაუქმების მოთხოვნა შეიტანა. ეს დანაშაული იყო, რაშიც ჩართული იყო მაშინდელი განათლების სამინისტრო, მაშინდელი ეკონომიკის მინისტრი, ქვეყნის იმდროინდელი პრემიერ-მინისტრი და პრეზიდენტი. ეს იყო დანაშაული ქართული სპორტის წინაშე. ასევე მოექცნენ დანარჩენ მიმდებარე ტერიტორიებსაც.

სხვათა შორის, მაშინ მათ იმასაც ვთავაზობდით, რომ თუნდაც სხვა ქალაქში გადაეტანათ ეს უმაღლესი სასწავლებელი, მაგალითად, ქუთაისში, როგორც პარლამენტი გადაიტანეს, რათა შესაძლებელი ყოფილიყო ამ დარგის სპეციალისტების მომზადება, მაგრამ მათ ნაბიჯის უკან გადადგმა არ იცოდნენ. როცა ხელისუფლება შეიცვალა, 2013 წლის 18 მარტს, მაშინდელი პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებით, აღდგა სპორტის უნივერსიტეტი, რომელიც მალე მაღალი დონის, საერთაშორისო სტანდარტების შესაფერისი უმაღლესი სასპორტო სასწავლებელი იქნება. მანამდე კი, გვაქვს მიღება და კურსდამთავრებულებიც გვყავს, ავტორიზაციაც გავიარეთ. ვფიქრობ, დაიწყება გაისად მშენებლობა და ქვეყანა უმაღლესი დონის სასპორტო სასწავლებელს მიიღებს როგორც ეს ყველა დარგს აქვს. ქართული სპორტი ამას ნამდვილად იმსახურებს და სჭირდება კიდეც, თორემ, სამწუხაროდ, თვალსაჩინოა საკადრო პრობლემები როგორც ხარისხის, ისე ფიზიკური მასწავლებლების კუთხით, აღარაფერს ვამბობ სპორტის მენეჯმენტზე.

**– გადაჭრით შეიძლება იმის თქმა, რომ გაისად დაიწყება? სავარაუდოდ, როდის დასრულდება?**

– ვადებს კონკრეტულად ვერ გეტყვით, მაგრამ მისი მშენებლობისთვის მომავალი წლის ბიუჯეტში თანხა ნამდვილად არის გათვალისწინებული, ამის თქმა გადაჭრით შემიძლია. ახალი პარლამენტი როცა შეიკრიბება, ბიუჯეტსაც დაამტკიცებენ და მშენებლობაც დაიწყება. თუმცა, მანამდე ტენდერი გამოცხადდება, რასაც სათანადო პროცედურები ითვალისწინებს.

როდის დამთავრდება, რა მოცულობის სამუშაოები ჩატარდება, ტენდერი როგორი იქნება და ა.შ., ამის შესახებ ვერაფერს გეტყვით, რადგან ამ საკითხებში კომპეტენტური არ ვარ. არა მგონია, მშენებლობას რამემ შეუშალოს ხელი.

ესაუბრა **ირაკლი თავაძე**

# დავრჩეთ სახლში წიგნებთან



დავრჩეთ სახლში და ახალი ტრადიციები დავნერგოთ. ერთობლივი ოჯახური ვახშმის მსგავსად, კვირაში ერთხელ, წიგნების თაროსთანაც შევიკრიბოთ. შვილებთან და შვილიშვილებთან ერთად გავიხსენოთ ჩვენი საყვარელი ზღაპრები, მოთხრობები, რომანები. ოჯახის უმცროს წევრებს გავახალისებთ, ჩვენ კი ბავშვობაში ცოტა ხნით მაინც დავბრუნდებით.

პირველი შეკრება შეგვიძლია ზღაპრებს მივუძღვნათ. ზღაპრებს ხომ ასაკობრივი ცენზი არ აქვთ – ისინი საბავშვო და სადიდო ლიტერატურას შორის ზღვარს აქრობენ. არ მეთანხმებით?... შესაძლოა, სკეპტიკურად გეღიმებათ კიდეც – ნება თქვენია. მე მაინც შევეცდები თქვენს გადმობირებას.

„თაღლითმა ფეიქრებმა განაცხადეს, რომ მათ მოქსოვილ ქსოვილს ერთი განსაცვიფრებელი თვისება ექნებოდა: მას ვერ დაინახავდა ის, ვინც თავისი თანამდებობისთვის შეუფერებელი და უსაშველოდ სულელი იყო."

ეს ნაწყვეტი ჰანს კრისტიან ანდერსენის ზღაპრიდან („იმპერატორის ახალი სამოსი") გახლავთ. როგორც ჩანს, ტყუილად არ ბრაზობდა ანდერსენი, საბავშვო ავტორად რომ თვლიდნენ („ამბებს მხოლოდ ბავშვებისთვის როდი ვწერო," – დაჟინებით აპროტესტებდა). საკუთარი ძეგლის პროექტის განხილვაშიც მიუღია მონაწილეობა და სწორედ მისი „დამსახურებაა" ბავშვების გარეშე, მარტოდმარტო რომ ზის სავარძელში და მახინჯ იხვის ჭუჭულს შესცქერის. კოპენჰაგენში თუ მოხვდით, შეგიძლიათ თავადაც დარწმუნდეთ ამაში.

მანამდე კი, მის გამოგონილ იმპერატორს დავუბრუნდეთ:

რამდენიმე დღის წინ, მკითხველთა კლუბში, 14-15 წლის მოსწავლეებს ვკითხე, ანდერსენის დღე გვექნება-მეთქი. მრავალმნიშვნელოვნად გადახედეს ერთმანეთს და ზრდილობიანად გამიღიმეს. არ გამიკვირდა, მე ხომ მშვენივრად ვიცი, ზღაპრებიდან რომ ამოიზარდნენ. ჩაცმა-დახურვისა თუ ვარცხნილობის სტილითაც მიმანიშნებენ ამაზე და საუბარში „გაპარული" ქვეტექსტებითაც. და მაინც... მაკამასნი ზღაპრებს უყვებათ:

იყო და არა იყო რა... იყო...

„იმპერატორი, რომელიც ჭკუას კარგავდა უცხო, ლამაზ ტანსაცმელზე და მთელ ფულს ჩაცმა-დახურვაზე ხარჯავდა..."

ფიანტი მონარქი ინტერესს იმსახურებს, ზღაპარი – ყურადღებას. ახირებანი ძლიერთა ამა სოფლისათა სალაპარაკო თემად და საინტერესო პარალელების მიზეზად იქცევა...

„ტანსაცმელს ყოველ ერთ საათში იცვლიდა და თუ სხვა მეფეზე ამბობდნენ, დარბაზის საბჭოშიაო, მასზე ყოველთვის ამბობდნენ, მეფე შესამოსელში ტანსაცმელს იცვლისო..."

მონარქის სუსტი წერტილი ნაპოვნია და აი, ასპარეზზე ის თაღლითი ფეიქრები გამოდიან, დასაწყისში რომ ვახსენე: დღე და ღამე მუშაობენ (საქსოვ დაზგას მოჩვენებით ახმარებენ), აბრეშუმის ძაფებითა და ოქრომკედით ჩანთებს ივსებენ და იცდიან.

განსაცვიფრებელი ქსოვილი ლაკმუსივითაა:

„იმპერატორს სწორედ ასეთი ქსოვილი სჭირდება, რათა გაიგოს, ვინ ჰყავს სულელი და თანამდებობისთვის შეუფერებელი."

ჯერ ყველაზე ხანდაზმულსა და პატიოსან მინისტრს, შემდეგ ერთ პატივცემულ თანამდებობის პირს გამოცდის. აბა, თავად ხომ არ გაქანდება პირველი („არა, იმიტომ კი არა, რომ საკუთარ თავში ეჭვი ეპარება, უბრალოდ ურჩევნია, ჯერ სხვა გამოსცადოს"). ცარიელი დაზგის ხილვა დილემის წინაშე აყენებს სახელმწიფო მოხელეებს: სიმართლის თქმით თანამდებობა დაკარგონ თუ თაღლითებთან გაიგივდნენ? მალე „განსაცვიფრებელი ქსოვილი" მთელ ქალაქს ალაპარაკებს და იმპერატორსაც საგონებელში ჩააგდებს – ტყუილი გონიერებისა და ტახტის შენარჩუნების გარანტიად იქცევა.

ამბავი ზღაპრულ ელფერს კარგავს და რეალურ სამყაროში ინაცვლებს.

„რა დიდებულია!.. ოჰ, მართლაც ულამაზესია!.. ძალიან მომეწონა, ის მართლაც მომაჯადოებელია!.."

ასეთია მეინსტრიმი – უმრავლესობა აქებს და განადიდებს იმას, რაც სინამდვილეში სულაც არ არსებობს. საბოლოოდ, მეფის სიშიშვლეს მხოლოდ ერთი პატარა ბიჭუნა ამხელს. „უმანკო ბავშვი, რომელიც არც სულელი და არც თანამდებობისთვის შეუფერებელია". თუმცა... ანდერსენი (რეალისტი და არა მეზღაპრე) სარკაზმს ბოლომდე არ ღალატობს:

„საზეიმო მსვლელობა ძველებურად გრძელდებოდა. მეფის კარისკაცები ძველებურად ხელგაწვდილი მისდევდნენ უკან და მისი არარსებული მოსასხამის კალთები ეჭირათ."

14-15 წლის მოსწავლეები მკითხველთა კლუბში თვლიან, რომ „იმპერატორის ახალი სამოსი" დღესაც რელევანტურია, რომ მწერალი ერთი მარტივი ფაბულის საშუალებით საკმაოდ სერიოზულ პრობლემებზე გვაფიქრებს – ტყუილად არ სწყდებოდა გული, მხოლოდ საბავშვო მწერლად რომ თვლიდნენ!

დიახ, ზღაპარი სულაც არ ნიშნავს მხოლოდ პატარებისთვის შექმნილ ამბავს, ზღაპარი ნებისმიერ ასაკში აქტუალურია! როგორ გგონიათ, ბავშვები ვერ ხვდებიან ფასკუნჯი, მფრინავი ქოშები ან ურჩინმაჩინის ქუდი რომ არ არსებობს? რა თქმა უნდა, ხვდებიან, მაგრამ ეს ხელს არ უშლით ზღაპრების სწორად აღქმაში. ახსნა, როგორც წესი, იმ უფროსებს სჭირდებათ, მეცნიერულად დაუდასტურებელი ფაქტების დაჯერება რომ უჭირთ და ასაკობრივ ცენზებზე კამათობენ.

P.S. თუ საკუთარ წიგნის თაროებთან შეკრებას გამართავთ და ანდერსენის გახსენებასაც გადაწყვეტთ, ეს ორი მოთხრობაც გაიხსენეთ: „ღორების მწყემსი" (რომელშიც იმპერატორის ასული ცოცხალ ვარდსა და ბულბულს დაიწუნებს, უსიცოცხლო, მექანიკური სათამაშოების მოსაპოვებლად კი ღორების მწყემსს კოცნაზე დათანხმდება) და „სრული სიმართლეა" (რომელშიც, ქორების დამსახურებით, ერთი უწყინარი ბუმბული ხუთ დედლად იქცევა).

მაკა ლდოკონენი

ახალი განათლება

შპს „ახალი განათლება" ს/კ 202058735
მისამართი: აკაკი წერეთლის გამზ. №126, თბილისი 0119
ტელ.: 032 295 80 23, 599 880073
www.akhaliganatleba.ge axaliganatleba@gmail.com

რედაქტორი:
ლალი ჯელაძე

იბეჭდება სტამბა „კოლორში" კოლორ ჯგუფი მისამართი ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის №3

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

ISSN 2233-386X
ფასი – 2 ლარი